

ლიტერატურული გაზეთი

№39 26 ნოემბერი - 9 დეკემბერი 2010

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



ახლახან გამოვიდა გურამ დოჩანაშვილის ავტობიოგრაფიული რომანის — „რაც უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება“ — პირველი ნიგნი. გთავაზობთ ნაწევრებს მეორე ნიგნიდან, რომელზეც მწერალი აშუამდ მუშაობს.

გურამ დოჩანაშვილი

მირა და მერე უფრო გადმოცემით რა წყალობაა, აღმოჩენებით, არქეოლოგია, ხოლო თავი და თავი არქეოლოგიისა აღმოჩნდა ის, რომ, მე, თბილისში დაბადებულს და ასფალტზე გაზრდილს მომეცა ის უმთავრესი, თავი-წყალობა რომეტი მეტად გამეგო თუ რაა, როგორი იყო ჩემი სამშობლო... —

საქართველო, თვით. მიუხედავად იმისა რომ ბავშვობისას ლულელებში ყოველ წელიწადს დაყვავდით ხოლმე, და ამასგარდა უფროსი მამიდაჩემი სოფიო სანამ საქარაში (ზესტაფონის რ-ნის) დამკვიდრდებოდა, მისი ქმრის, უპატიოსნესად სუფთა მელვინის, ძია დიომიდე ნებიერიძის წყალობით, რომელიც ღვინის სხვადასხვა ქარხანაში მუშაობდა, მათთან მიშვებდნენ გორის ხიდისთავში, მუხრანში, შემდეგ რამდენჯერ — საქარის „საცდელში“ ანუ მაშინდელ მევენახეობა-მელვინეობის მეცნიერულადც შემსწავლელ და დიდად გამართულ მევენახეობა-მელვინეობის „საცდელ სადგურში“, და ზაფხულობით სუცოტა ორ თვეს ვიყავი სოფლად მაგრამ მე მაინც აშკარად სუფერ მყოფნიდა, ეს, სუთლადაც ბავშვი ვგრძნობდი როგორღაც იმ უდიდესი წყალობის ავლას, თავმოუბმელობას რასაც სამშობლო, ჰქვია; ამ ხინჯს კი არა და, მთლადაც როგორღაც უდღეურობის მანკი სულს-რარიგსაჩინრად და ამიტომაც აგანგაშებდა მტკიოდა ის რომ რაღაც ძალუმი ძლიერ რომ შემცოტავებოდა, და მერე როცა წამოვიზარდე ამით ხელშესახებადაც კი მტკიოდა ის რომ უმთავარსამოსოდ, შეუმოსავი, ვიყავ, და, ძალიან მძაფრად კი მაშინ დამატყდა თავს ეს როდესაც ჩემი ისედაც შეზღუდული შესაძლებლობებით დიდად მომინდა — ის მერე რა რომ, გინდ რა უსუსურს... — მაინც შევბოდი, გინდ გაგარეულბული-მეც ჩემთვის რა ველურ, შემძლე რა მხეცს-ამ, ვერაგს, ვერასდიდებით გაუხედნავ მტაცებელს, პროზას და მის მართლაცდა სწორედაც ვაიდუმველებელობას ადრეც კი-ვგრძნობდი მაგრამ ის, იგი, უდიადესი არსი-რამ ჩემთვის, მისი(თ) არსობა თვით თავად-სიტყვის, მთელი იმისი მის თურმე მაინცა-რა დიდებულურ მთად-ტყეღრისა თუ ზღვისპირეთის მაღალტლღიან კიდეთ და სიღრმეთ და რარიგდათოვლილ მოვარდისფერო მაინც მწვერვალთა შორი ხატება როგორ მთლად კუტად მამობდა და — აქა მომავალ აქეთკენით ერთიცსიტყვისა გადაპრანჭვაში ნუ ჩამომართმევთ, და — თურმე რარიგი ნალკოტის ნაცვლად ჩემთვის ჯერ ბარდად აღმემართა, ის, თუმცკი ვიცოდი, შინაგანად მაინც ვგრძნობდია რომ იმ ძეძვნარში რა-წყალობაც ინიღბებოდა გინდ სისასტიკით დიდადძან გარემოსილი მაგრამ, რა მექნა, ჯერ ვერ ვიცოდი ცოტათიმინც მოკვლევა, ესი, და, — ავავადმყოფდი თურმე სწორედაც აი-იმით რომ, მოგახსენეთ ხომ, რომ ძირითადად ხრიოკ ასფალტზე გაზრდად-მისჯილი ვიყავ, ბეჩავი და რაღაც

შორ ტევრთა თუ წყაროსწყალთა რარიგ რა მშველელ ასაბიას — შორით მოსულეებ ჭირისუფალთა მხლებელი-რამ — ველოდებოდი და თუ რასა და —

რამდენნი ჩვენნი უპირველესი მამულიშვილნი სოფლიდამ, იყვნენ და ჯერ სახელწოდებით ახმინებაც კი არ ვიცოდი იმ სოფელთა თუ დაბებისა — ლამისყანა და, სტეფანწმინდა, ყვარელი, ჩარგალი, სხვიტორი, ვარიანი, მირზაანი, ჩუნეში, კუხი, სიმონეთი, ხოვლე და, ჭყვიში, ხიდისთავი და ხაში და ყველა ისინი, ჩვენი ესენი, სუყველანი! — მინისანი, კი, მინისანანი იყვენა სწორედ იმა სახნავით-როგორმშობლიურით, ნაფუძართ-იმ, და დიდადძლიერ ნავენახარით, იმ, იმ სავარგულით და სიძალუმით ნაზად პურობილიც სწორედ თავიანთ სოფელ-ქვეყნით და, თავიანთთ ცათა აი იმდენად, რომ, თვით მეფენი და დედოფლები და დიდადშემძლე დიდგვაროვანნიც თავიანთურა სასახლეებიდამ ახლადმეძენილ ვაჟიშვილებს რომ სუცოტა ოთხ-ხუთ წელიწადს უფრომინისკენ გაასხვისებდნენ-ვითომ რათა მათ პირმშოთ, უბრალო ძიძებ-გადიათი ეზარდნათა და, სადმე ჩეროში გლეხისქალები ძუძუთი მიტომაც ზრდიდნენ რო უფრო ჰსცოდნიყოთ სამშობლო და ქუდზეკაცობა და მთლად უბრალონიც ნუგვეგონება ქართველობა-ის, იმდროინდელი გლეხობა-ისი — მათი სამოსით, მცირე სარჩოთი და ამისთანებით ნუ შევაფასებთ, ჩვენი გლეხობის რაიმ სიმცირეთუ უქონლობა ეგება მთლადაც უცხოელებს სცემოდეთ თვალში მაგრამაც — არა! — გზით არ-აჭრილი, ვერათქვეფილი სარჩოთი აღზრდილთ, — უცხოელებიც? — „გლეხის შვილებიც ნააგვანან წარჩინებულთა, შვილთა“ — და მხოლოდ ჩვენი ბატონიშვილ-ბაგრატიონი ვახუშტი კი არ ჰფიქრობდა და კვირვობდა, ამას, არაბატონო — უცხოელების ჩანანერებსაც, გადავხედოთ, და არცთუ დიდადმომხიბვლელ კავკასიურულ მეზობლებისა გარემოცვაში მაინცალ როგორ, აის ნაკვეთები, ჩვენს ქუდზე კაცებს და ლეჩაქსა თუ მანდილზე ან თავსაფრებზე ქალებს, ძალიან, ჰქონდათ

და თუ მანამდე, სულ ერთი თვითლა ვტოვებდი, თბილისს (სოხუმში მაინც ქალაქი, იყო), მერე და მერე, არქეოლოგობისას, მერედამერე თბილისში ერთს, ან დიდდიდ სამთვესდა, ვიყავ, და, რალა არ ვნახე თითქოს პატარა, საქართველოში, განსაკუთრებით იმერეთი, და აფხაზეთი, რა მშვენიერი კუთხე, ჩვენი, ადრე რომ მხოლოდ ზღვისპირეთი მეგონა, არა? — თავი და თავი, ზღვისაც გარდა? — მთლად არანაკლებ მთიან-ეთი ყოფილა, ისი, მისი რარიგი მთაგორიანობით მართლაც წარმტაცვი რინა-ტბითა და, რამდენ მკვიდრ აფხაზს ალბათ არ უნახავს რა სოფლები — ქვაჭარა, ამტყელი, ოქუმი, ლუ-მურში, ბზიფისა და კოდორის ხეობა არქეოლოგივით ვის დაუვლია...

დასასრული მე-11 გვერდზე

როსტომ ჩხეიძე

ბანგაში ჟანრთა პირუხისაყარზა

II-III

ემზარ კვიციანიშვილი

წლივანდელი თბილისობა

IV-V

დათო ტურაშვილი

ევროჯოჯია

VI-VII

ვახტანგ ჯავახიძე

ლექსიდან — ლექსამდე

VIII-IX

ბელა ჩეკურიშვილი

ალსარება ნომერი 1

X

მანანა ლარიბაშვილი:

„იდეალურად პროზაც კი ვერ ითარგმნება“

XII

გია დარსალია:

„ნიგნის ბაზარს განსხვავებული მომხმარებელი ჰყავს“

XIII

ო'ჰენრი

შეუფასებელი დოლარი

XIV

ზეინაბ სარია

ცხრაბეჭდიან საიდუმლოებათა ახსნაში

XV

წევანდელი თვილისობა

(ფილარმონიის მოედანი)

ლურჯთვალეობა, მანქანასთან,
იდგა განალალები...
რა იაფად მომცა გოგომ
ახალციხის კვახები.

მამაც ახლდა, ორივენი
ვიცან ქართულ ჯილაგად;
ოთხი ცალი შემირჩია,
ჩანთებში ჩამილაგა.

ვერ დავლოცე - გაის ამ დროს
ბედნიერი მეხილე! -
როს მატანდა მთვარესავით
ყვითლებს, ყუნწდაგრეხილებს.

წამოვიღე ის კვახები,
მძიმე, თამაშ-თამაშით...
მერე კი ვთქვი: სიხარული
არ მოაკლდეს მამა-შვილს!

ბადის წვიმიანი გაზაფხული

ხილის ზღვა. მოხობიალობ,
ზაფხულო, სანეტარო!
მახარებ, ალიბუხარო,
ყვავილის ყელში მჯდარო!

ზამბახის გაკრავს სილურჯე,
გათქვირულს, ქება გეთქმის...
ოქრონარევი კანი გაქვს,
მზის გულზე დანახეთქი.

თვით ცამდე აგწევ, ბეჩავი,
წასაქცევ-დასაყუნცი...
ჩასაკბეჩავო, რას ქაჩავს,
ამდენს, ის წვრილი ყუნწი.

ჭექა-ქუხილის ლაღუმი.
კალთები, მთისა, ლაღობს...
მწიფობის ჟინი მაყვებებს,
ყვავილში ვხედავ ნაყოფს.

კველი სასახლის ეზო

ჩაუველი, შვებას მომადენს სხვაგვარს,
მოედნის ახლოს, ბალი კატების;
თუ არ ჩამთვალეს ზაზუნად, თავგად,
იმათ მარაქას მივემატები.

მშვიდად ფშვინავენ, არ ისმის ხვნეშა,
თვალმოხუჭულთა თვლემა იწყება;
ზოგს - მოშრაშუნე უგია ნეშო,
ზოგი - გადახრილ მზეს ეფიცება.

რა აქვთ სანაღვლო ან შესაბრალო,
თავმოყრილია მთლად საკატეთი;
შავს იპრიალებს, ჩექმებს, კაპრალი,
ულვამს იყენებს, პინკად, კადეტი...

რა ბრჭყალებს მალავს ფაფუკი თათი,
ფისოთა მოდგმა რას იკიკნება?
საკვირველია გუმანი მათი -
ეს რა სამოთხის შესძლეს მიგნება!

ბასაყიდად გამოყვანათ

(მარჯანიშვილის მოედანი)


მზერა ველარ მოვაცილე,
არ ვარ თუმც თვალხარბი -
კოხტად შეკრულ გალიაში
იჯდა ორი ზღარბი.

ასვეტილი, რკინის ბოძთან,
კაცი იდგა კუშტად,
ეტყობოდა, დაღლილიყო,
მოელოდა მუშტარს.

შევიცანი, ზღარბუნებში,
თვით ბუნების უნჯი;
ლეგა მავთულს მიქვინოდა -
გრძელი, წყვილი დრუნჩი.

ვფიქრობ, დამემონებება,
შეუხედავს ვისაც;
წყნარებს და უწყინარებს,
ფერი ედოთ მწყრისა.

გაშლილ კარ-მიდამოში,
გაბადია თუკი;
ერთ რამედ ღირს იმათი
გორვა და ცუქცუქი.



ემზარ კვიციანიშვილი

დაღბა ნადირობის სეზონი

ამირან წეროძეს

ვემზერ ღრუბლებს, დახვეულს,
აბრეშუმის ლენტებად...
სანადიროდ წამსვლელთა
გრილი დილა თენდება.

დევს აბგაში საგზალი,
სასმელები, თუთუნი,
ყავისფრად დალაქული
ძაღლის ისმის ნკმუტუნი.

თოფიანებს გავყვები,
ღვთის იქნება თუ ნება;
ცხარედ იცის კურცხარმა
მკერდზე მოთათუნება.

ჯიპს დაძრავენ, დაცვარულს,
ქარი გაცრის ხვაშიადს...
მათგან მხოლოდ ერთს ახსოვს -
თემიკო მინაშა.

ბიკაჩაში მინატრება -

იაშა კვიციანიშვილი

ბაღლი ვიყავი, გიმზერდი -
ტანმაღალს, რა მკვირცხლს, რა ლაღს...
ლეღვამ, სოფლისა, გაგაღლო,
მინას მიგცეს და ტალახს.

ფიჩორზე, ნარიონალთან,
ვისმენდი გრიალს თოფის...
გაგრძელდა ლულა ორივე
და ჟინიც - ნადირობის.

რა დამიღვებდა მე შენთან
სასმელს და სასაუბროს!..
სარდაფში გაშლილს, ვიგონებ
იმ უკანასკნელ სუფრას.

პურადი, ღიმილიანი,
ბევრის ხსოვნაში ჩარჩი;
ჩრჩილმა შეჭამა, ქათქათა,
აფთიაქარის ჩაჩი.

გლერტა, ჭინჭარი ევლება
შენს სათესსა და სახნავს;
ზემო ჩიბათში, გორაზე,
დამარხული ხარ ახლა.

თანატოლუბი შიშოვანცალანე

ჟორა მახარაძის მოსაგონარი

ჩემთვის ისე იდექი,
მინდორში რო ხე დგას...
მამცნეს შენი სიკვდილი,
გულის გასახეთქად.

სიხარული, იმ დროთა,
მომწყდა,
განმეშორა,
ობლობაში გაზრდილო
ბიჭო, ძმაო ჟორა?!

მეხი დამცა, ვინც მითხრა
შენზე, არა გეყავსო...
(წამლად არსად ირხევი,
ჩაგეჭიდო, ხავსო!)

მოგვივლია რამდენი,
ერთად, გზა და ხევი...
შვილიშვილი დაგეხრჩო,
იმას გადაყვივი.

რა აღმართებს ვუტევდით,
რის დაღლა და ხვნეშა!..
გურიაში, ქედიდან,
გვიზიდა შეშა.

ვინც "კოშიას" გეძახდა,
ირგვლივ არვინ დარჩა...
ჩემსას რაღა აზრი აქვს
ალმა-დაღმა ჩარჩალს.

ქარი გაგხვეტს, სიჭაბუკის
ნაცარო და ნავლო!
დაგუბულა ნაღველი,
რა ვქნა, ვის შევბღავლო?!

ბარულის მოგვინება

დილით ნუ მოხვალ, სიკვდილო,
ნურც ადრე საღამოთი;
არ დაგინახოს თვალბემა,
შუალამისას მოდი!

არ არჩევ, ვიცი, ერთია
შენთვის - ძაგება, ქება;
სულ რომ არ გამოჩნდებოდე,
არც არა დაშავდება.

ორთა კონცერტი სათელის შუქზე

(„მეძო“)

არაფერი შეედრება
(სიტყვას ვამბობ პირიანს),
გიტარა და ვიოლინო
როცა ერთად ტირიან.

ვუსმენდი და ვუყურებდი,
ლამის მოვწყდი,
დავეცი...
რა ბგერები იღვრებოდა,
ციდან, უსუფთავესი.

ზღაპარში ჩაპარბული

გამჩენლო, ბევრჯერ გითხარ -
დედაც ხარ და მამაც ხარო,
ამ აპრილის დამდეგს, მეტად,
არ დამდაგო, გამაცხარო...

იმყოფინე, რაც რო მჯიჯგნე,
ჩემი სისხლით გამაძლარო!

კიდითკიდე გადაბმული,
ღამეც, დღეც ხარ, ჭრელი წრეც ხარ,
ძმარ-ნაღველი, ამღვრეული,
ვერაფერმა გადარეცხა,
ძვლებს გაუდის რაჩხა-რუჩხი,
შენლა დამრჩი გულის რეჩხად.

მე, ძაბუნმა, სად გეძებოთ -
ბიძებო და მამიდანო!..
სამი დამხვდა გზა, ვერცერთი
ავირჩიე სამიდანო,
დამბლა მხუთავს, ამის დაბლა,
სადღა უნდა ჩამიტანო?!

მოგზაურობის ჟინი

ცოცხლად, მე ვერ დავხატავდი
ზეთისხილის რტოს განა?!
ღმერთი, რჯული! არ მანყენდა
პროვანსი და ტოსკანა.

უფალს კი ეცოდინება -
მიმყოლი ვარ დინების,
მაპოვნინებს გზას, შორეთის,
ქარი აპენინების.

დაღლილს, ფუთააკიდებულს,
მიმხმობენ ზარები;
რომელიმე ძველ მონასტერს,
მყუდროს, შევეფარები.

ღამისთავა ტკივილი

ყველა მოძრაობათგან,
დედამინას წრე წამს;
ვიხილე ცის, მარადის,
სიბნელისგან ცრეცა.

ვიცდი, როდის ინათებს,
გადიყრება ბინდი,
ცხენებს, უცხოს, უცხუნე,
მზეო, ამობრწყინდი!

სირთა ველი გალობას,
გული გამინედლე,
ელვად შემოაგელვე
შენი ოქროს ეტლი!

პანთონის მონახულება

გამოვივლი ველარსად,
ველარც გეტყვი: წამო!
შავი მარმარილოა
შენი კარ-მიდამო.

რა ყოფილა – სამუდამო
ძილია თუ რული!..
ღვინისფერი ყვავილებით
გნახე დაფარული.

იცრიცება აპრილის თვე
ჩითის პერანგით...
ეს რვა ნელიც რა უეცრად
მიილია, გივი!

**თვალნიც იცვლება სურათები
(ცა მხატვრის სახელოსნოდან)**

მუქთად ვისწავლე შერევა
ფერების – მუქთა, ბაცთა...
საეჭვო გახლავთ, ჩემდენი
ვინმეს შეეძლოს დაცდა.

ნეკსაც არ გავატოკებ და
ისე მოვძებნი წერტილს;
ნუთადაც არ მიმაჩნია,
მე, საუკუნე ერთი.

ჩანურულია ღრუბლებში
დილა-საღამოს მადლი...
ფანჯრის რაფაზე ვალაგებ,
მერე ერთმანეთს ვადრი.

მიიზღაზნება აქლემი,
ვეფხვი ამზადებს ნახტომს,
ფუნჯს ვატრიალებ, რა დამლლის,
გინდაც მთელი დღე ვხატო...
ღმერთმა ინებოს, ზღვად იქცე,
წვეთო, წვეთს მინამატო!

ოცნება იტალიაზე

სურვილი დღემდე მდულარებს, დნება...
ელავს, ზღვის პირას, ოქრო – "ნაპოლი."
თვითმფრინავიდან შევხედე, ება:
ცაში, ვეზუვი, ფერფლად ნაბოლი.

ფერდი, დამრეცი, ღრუბელზე უძევს...
თავნაკვეთილი, ცივი, ლამაზი,
კონუსი, ველარ ატოკებს ფუძეს,
ძმა, შორეული, ფუძიამასი.

ვერაფრით ვიტყვი: ბედი მენია!
თეთრი ორღანო – გრგვინავს მილანი...
ვინ მომალანდა, მე, ვენეცია
ან სხვა სიზმრები, მისი კბილანი.

გაჩნდეს ამ ქვეყნად, ბევრს უნდა, მჯერა:
ტიბერიუსად, ტიტედ, ნერონად...
მე კი ვეროდეს მელირსა, ვერანს,
თუნდ კატულუსის ვნახო ვერონა.

დაღამებულშიც სულის მდაღავი,
ასხივებულნი, სხვათა ნაქები,
ჩემგან უჭვრეტი და უნახავი,
ბრწყინავენ მზეზე, რა ქალაქები!

**სანდრო ანიელის მუხაუშვი
(შარშანდელის გახსენება)**

ჯიშინ ცხენთა რა ფიტულები...
ყველა მათგანი ლაგამს ღეჭავდა...
გამოშრობოდათ სისხლი სრულებით,
ახლაც გულს მიკლავს ხვედრი ბეჩავთა.
თვითულისას ვხატავდი მხედარს
(სულელები, ცაში მოფარფატენი...),
უცხო ცხენები... მე ოფლსაც ვხედავ –
მათი ზურგიდან ორთქლად ადენილს.

ვერ გიძვინი ნელინადი

(ვაზის ფოთლებში გავეხვიე)

არც მწუხარებას ჰქონია ვადა,
ვერ აუვედი ამდენ სატირალს;
ნალველს, გულისა, ქარს ველარ ვატან,
ტყვეს, მენადების, რა მენადირა?!

არ შემიძულო, ვერც ის შევძელი,
საშენოდ, ყველა შემეკონა თვე...
მე წყალს დავეხრჩო, იყავ დღეგრძელი,
შენი სურვილის ვრჩები მონადვე.

შავითის საუფლოში

მტერი შეასკდა იმ ბოლო თარიღს,
ყოფს ბნელს და ნათელს თხელი ხარისხა...
ბურანში გაგხვევს ბორანი ჩქარი,
დახუჭავ თვალებს... უკვე მკვდარი ხარ.

ერთი ხვედრი აქვთ მარდსა და ოჩანს...
სულთამხუთავმა ვინაც შერისხა
(იქ ყველაფერი ლუსკუმად მოჩანს),
რჩება ამარა ერთი ფერისლა.

მოლანდება

თითებშუა, ანთებული,
ჩანდა სიგარეტი.
დამესიზმრე, მამაჩემო,
ნალველს იქარვებდი.

ასე მალე რამ გაგაქრო,
ღვთის ნაზელო თიხავ?!
შეგკრთი, დაუჯერებელად
ახალგაზრდა იყავ.

ნახველი, თან ნაიყოლე
დარდი მარადისი...
ფერფლიც რომ არ დაგრჩენია,
თქმა გენადა რისი?!

**რეიდზე ჩამომდგარი ნყვიანი –
მიცვალავს სულავის გაღამილავი**

დასალიერი. კალთა ქედისა.
შუქურა მოხამხამე.
კრეისერივით განოლილია –
გრძელი, ვეება ღამე.

სერავს მის სხეულს ათასნაირი
კაიუტა თუ სორო.
ნახშირზე შავი, სტომაქი მისი,
რით გინდა ამოყორო?!

დეკემბრის ჭირხილი ულესავს ფერდებს,
შავი უზინავს ხახა...
ვერვინ შეატყობს სიცოცხლის ნიშატს,
მას რომ მგზავრები აყავს.

ტყვიანზე მძიმეს, აგროვებს ცოდვებს,
არ მიაქვს ჩალა, თივა...
მიეალერსე მდუმარს, გალურსულს –
დაგტოვა, გიპატივა.

აფართხალდება სხივი და ფრთხილად
გაგნათლავს მზის ემბაზი,
რომ სამუდამოდ დაიმახსოვრო
მინაზე ყოფნის ფასი.

**შუა გზაზე ვარ
(ნაღვლიანი სიმღერა)**

ჯერ ვცოდვილობ, ნუ იჩქარებ
ჩემს აბურდვას,
ახვეტას;
დამაცადე, გადავხედო –
საინგილოს, ახმეტას.

გულებს რაღა შეაქანებს,
მე თუ აღარ ვიქენი;
გათოვდება,
მოინყენენ –
ანყური, აღიგენი.

ეხი, სადაც ჯიხვს, დაკოდის,
მონადირემ შესდია,
უნდა ვნახო, –
მენატრება –
ცაგერი და მესტია.

რა სიგელი მოგაგებო,
რა თხოვნა და ადრესი?!
გვედრი,
ნუ იკადრებ, რაც რო
არ არის საკადრისი.

არ იფიქრო, ჯავრად გამყვეს –
დროსტარება,
ღვინის სმა;
ცას და მინას შევეყურებდე,
ჩემი შემრჩეს თილისმა.

არ ვინაღვლებ, გავერანდეს –
ტავერნები, დუქნები...
თუ განვქარდი, რამდენი რა
დამრჩება მიუგნები.

სხვა ჭირი გჭირს, თაო ჩემო,
ცხელი ბანგით დამთვრალო!
ყველაფერი რანაირად
დავამწკრივო, დავთვალო?!
ფოთლებაპრილებული,
შემავგრილებს ფათალო...
არსად ჩანხარ, ლექსო, ჩემი
მწუხარების ბადალო!..

მთავარანგელოზს ვევედრები

*"წმიდაო მთავარანგელოზო,
შეინყალე კვიტაი." წარწერა კრიხის
ეკლესიის კედელზე. X საუკუნე*

სალამურს არ ვაკვნივსებ,
არც დამიკრავს ჩელო...
რა დახლი დაგიდგება
შენ რო მე მომცელო?!

თუ პატარას მიხატრებ,
ჩემზე იყოს ანი!..
ფრატუნობდეს, ამ ქვეყნად,
ერთი ბერიკაცი –

დაბნეული უზომოდ,
ცოტა უცნაური,
ვისიც მხოლოდ სიტყვაზე
ეფეთება ყური.

საჩემოდ ვერც მოიცლი,
იმხელა გაქვს კალო...
ან რა დაგეხარჯება,
ერთხანს ვიტანტალო?!

იცი, ხმაურს არ ავტებ,
ჩემო წილო ჭირო!
შევეცდები, თვალშიაც
არვის შევეჩხირო.

აღმა-დაღმა ვიქროლებ,
ნიაზედაც მჩატე;
არ წაგართმევ არაფერს,
თუ არ მოგიმატე.

აუნონელ სიმდიდრეს
ფეხქვეშ გაგიშლიდი...
არ გამწირავს, შენს გარდა,
ის ვარსკვლავიც, შვიდი.



ლიერეთ მისი ნიგნები, განსაკუთრებით — „გიორგი მერჩულე“. ბატონი პავლე თვი-
თონ იყო თავისი ტექნიკურად რთული
ნიგნების დიზაინის ავტორი და ბრწყინ-
ვალე ტექნიკატიორი.

ლოპე დე ვეგას ეკუთვნის ეს ორი
სტრიქონი:

Í ððé í, ñëááí ú é æéáí í ñëñó ñéóðá,
è Ðóááí ñ, ñðéóí ðáí ðáó í ðó èó æéáç.
(ჯამბატისტა მარინო — 1569-1625 —
იტალიელი პოეტი, რთული მეტაფორებ-
ის ოსტატი იყო).

პოეზიისა და ფერწერის ურთიერთო-
ბის კარგი ნიმუშია.

1996 წლის „ინოსტრანკას“ მეცხრე ნო-
მერში ნავიკითხე თანამედროვე შოტ-
ლანდიელი მწერლისა და მხატვრის ალას-
დერ გრეის პატარა მოთხრობა —
„Í í áéèæá é í àò éí ñòò“. მატარებელში,
რომელსაც კომპიუტერი მართავს, მგზა-
ვრები საუბრობენ. მოულოდნელად ეს მატარებელი მეორე მატარებელს დაეჯახება და მოთხრობა ასე მთავრდება: „Á ñëááí ó è é í èá ó-áèðáéúí é ñá. è ñè è ððéáè í ñòòáæéðí í í çáá. ñéèè è ð í à-àéí ðçðí áá — í à-àéí, í í í áéí í áó“. მომეწონა.

ალიარებულია აქსიომა: მწერალი =
ნიჭი + ოფლი, ანუ: ნიჭი + შრომისმოყვარეობა. მსოფლიო ლიტერატურების ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ეს აქსიომა ასე უნდა დავაზუსტოთ: მწერალი =
ნიჭი + ოფლი + ცოლი!

საკმაოდ დიდი ხნის წინათ მწერალთა
კავშირის ბაღში ერთმა მწერალმა დავით
გაჩეჩილაძეს ჰკითხა: დათიკო, ლექსებს
რატომ აღარ წერო. დავითმა უპასუხა: თუ
ღმერთი გნამს, თავი დამანებე, ჩემი
ლექსების გახსენებაზე გული მერევაო. მე
შემთხვევით მოვისმინე ეს საუბარი და
ძალიან გამიკვირდა. იმდენად გამიკვირ-
და, რომ დავეჭვდი, ხომ არ მომესმა-მეთქი
და ამის შესახებ არავისთვის არაფერი
მითქვამს. აგერ ახლახან „ლიტერატურ-
ულ საქართველოში“ დაიბეჭდა ვასილ
კიკნაძის საინტერესო მოგონებანი მწერ-
ალთა ბალის დიალოგებზე და ეს ფაქტი
იქაცაა დადასტურებული. პირადად მე
ყოველთვის სიმპატიით ვიყავი განწყო-
ბილი დავით გაჩეჩილაძისადმი და ვერ
ვიტანდი განდიდების მანიით შეპყრო-
ბილებს, მაგრამ არც ნამეტანი ნიჭილიზმი
გამოადგება პოეტს და, ამ შემთხვევაში,
არ გამოადგა დავით გაჩეჩილაძეს.

თამადავა რა დააპაპს?

1997 წლის 14 თებერვალს მანანა გიგი-
ნეიშვილმა პარლამენტში ჩაატარა სხდო-
მა, რომელიც მიეძღვნა ქართული ენის
სინონიმის დაცვას. მონაწილე იყვნენ მწ-
ერლები, მეცნიერები, ჟურნალისტები,
გამომცემლობის მუშაკები. მე ვურჩიე
მანანას, შემდეგ სხდომაზე თბილისის
ცნობილი თამადავი მიენვია, იმათ ხომ
საკმაოდ დიდი აუდიტორია უსმენს სამას-
ოთხასკაციან ქორნილებში და ქელებე-
ში?!

ანა კალანდაძე ხშირად იყენებს სამ
წერტილს სტრიქონის შიგნით — სტრი-
ქონში ან წინადადებაში ჩართული სამი
წერტილი ანუ პაუზა მოულოდნელობის
ეფექტს აძლიერებს და ამ ხერხს ხშირად
მიმართავს პოეტი. მაგრამ ბოლო გამო-
ცემებში ანამ ათმარცვლოვანი სტრი-
ქონები ხუთმარცვლოვნებად გადააწყო-
და მოულოდნელობის ეფექტი შეასუსტა.
უნდა ვურჩიო, შემდეგ გამოცემებში აღ-
ვადგინოთ პირვანდელი სტრუქტურა.
არის კიდევ ერთი გალაკტიონისეული
ფორმა ლექსისა — რომელსაც ანა იყ-
ენებს: 10-5-10-5. აქაც ანამ პირველი და
მესამე სტრიქონები გატეხა და ლექსის
ფორმის წარმოდგენა ნაკითხვისას
გაძნელებულია. ეს ფორმა ალსადგენია!

ჩუბჩიკა

1997 წლის 11 აპრილს რუსთაველზე
ჩუბჩიკა შემხვდა და მითხრა: შენს „უც-
ნობს“ უკვე მესამედ ვკითხულობ და უფრო
და უფრო მომწონს. ნუთუ სხვებიც ამას არ



გეუბნებიანო. მაცნობა, აქვე, რუსთავე-
ლის ძეგლს იქით, შენობა გვაქვს შერჩეუ-
ლი და გალაკტიონის კაფე-სალონი უნდა
გავხსნათო. შევიკრიბოთ და ერთად მოვ-
ილაპარაკოთ, როგორ მოვანყოთ სალო-
ნიო.

ლადო ასათიანის კვალდაკვალი

1960 წელს მურმან ლებანიძე აბასთუ-
მანში ისვენებდა. მაშინ კურორტის დირექ-
ტორი გახლდათ ბიძაჩემი — დედისძმა
ვარლამ მარგალიტაძე, რომელსაც მურ-
მანმა ლექსი მიუძღვნა თავის „ფიქრების“
ციკლში.

იმ ზაფხულს აგვისტოში მე მურმანის
სანახავად ჩავედი და შევებულე აბასთუ-
მანში გავატარე. იქ გავიცანი უნივერ-
სიტეტის კლუბის დირექტორი გოგი კო-
ბიაშვილი, რომელიც ადრე ლადო ასა-
თიანთან ერთად ისვენებდა აბასთუმანში.
გოგიმ დავგთავალიერებინა ლადოსეული
ადგილები. ერთხელ აბასთუმანის სასა-
ფლაოზე წავგიყვანა. რა თქმა უნდა, ლა-
დოს ლექსი გამახსენდა:

*ვის უნახავს სასაფლაო,
უფლის ხელით დახატული.
აქეთ-იქით საფლავები
და მათ შორის ნაკადული...*

გამახსენდა, მაგრამ ახლომახლო ნაკ-
ადული არსად ჩანდა. ერთხანს პაუზა ჩამ-
ოვარდა და უცებ სირუმეში ჩუხჩუხის ხმა
შემოგვეცმა. იქვე, შუა სასაფლაოზე, ძა-
ლიან პატარა ნაკადული ჩუმად მოჩუხ-
ჩუხებდა. ნაკადულს ვერც იტყოდი, ღარის
წყალივით „გადადებულ“ ვიწრო ლეღე
გახლდათ, საფლავებს შორი და ბალახებს
შორის არც კი ჩანდა, დიაგონალივით
კვეთდა სასაფლაოს დაღმართს და ერთა-
დერთი არღვევდა იქაურ მარადიულ მღუ-
მარებას.

იმ ზაფხულს აბასთუმანში ისვენებდა
აგრეთვე ბატონი პავლე ინგოროყვა.
ჩვენ კურორტის მთავარ ხეივან-ქუ-
ჩაზე ვიკრიბებოდით, ხის სკამებზე ჩამ-
ოვსხდებოდით და ვსაუბრობდით.

ამ ქუჩას მალიშევა-გოპაძის ქუჩა ერ-
ქვა. გამოვჩინე მოსაზრება — ლადო ასა-
თიანის სახელი გვეწოდებინა.

მურმანის აბასთუმანის ციკლის „ფიქრი
მესამე“ ასე იწყება:

*დაბადებიდან მიყვარდა მე
ხეები ალივის,
სიკვდილის მერეც არ დავუთმობ
ამ ხეებს არვის;*

*ბარე მეოცედ ავუვლ-ჩაუვული
მე ამ ხეივანს,
თამბაქოს ვაბოლებ მე არხეინად
და ვფიქრობ ქალზე —*

*ვინმე მალიშევა-გოპაძის,
რომლის სახელიც ამ ხეივანს
რატომღაც ერქვა,
ხოლო ჩვენ: მე და ინგოროყვამ
და ჯავახაძემ —*

*ჩემმა ვახტანგმა,
კობიაშვილ გოგისთან ერთად,
დავარქვით სახელი*

*ჩვენი ლადო ასათიანის.
სამწუხაროდ, მაშინ ჩვენ არაფერი ვი-
ცოდით „ვინმე მალიშევა-გოპაძის“ შესახ-
ებ.*

გავიდა ნახევარი საუკუნე და 2010
წელს აკაკი წერეთლის ლექსებს შორის
წავანყდი ექსპრომტს — „პირუმთენე-
ლად“, რომელიც დანერვილია აბასთუმან-
ში და ეძღვნება „მარიამ სვიმონის ასულ
გოპაძისას“:

*კარგი რამ ხარ, როგორც დედა!..
უკეთესი — როგორც ცოლი!
თვალ-ტანადათ ლამაზ-სანდო...
საკადრისი ქმრის და ტოლი.
შემოქმედდა შენით შენზე
თვისი ძალა დაგვანახვა...
დიდება მის ძლიერებას!
რალა ეთქმის პოეტსა სხვა.*

1896.12 აგვისტო. აბასთუმანი.
ქალბატონი მარიამ მალიშევა (1859-
1939) აღმოჩნდა მეუღლე გამოჩენილი
ქართველი თერაპევტის — ილია ზუ-

რაბის-ძე გოპაძისა (1853-1932), რომელ-
მაც პეტერბურგში დაამთავრა სამედიცი-
ნო-ქირურგიული აკადემია და ბერლინში
აიმაღლა კვალფიკაცია, 1894-1909 და
1921-1932 წლებში მოღვაწეობდა აბასთუ-
მანში და დიდი ღვაწლი დასდო კურორ-
ტის აღორძინებას და კეთილმოწყობას.
სწორედ ამ ილია და მარიამის ოჯახს სწვე-
ვია 1896 წლის ზაფხულში აკაკი და ეს ლექ-
სი მიუძღვნა მასპინძელი ქალბატონი-
სათვის, რომლის სახელიც, როგორც ჩანს,
1939 წელს — მისი გარდაცვალების შემ-
დეგ — უწოდეს აბასთუმანის ერთ ქუჩას.

ალბათ, უპირანი იქნება, ეს გახსენება
ლადო ასათიანის სტრიქონებით და-
ვამთავროთ:

*ამ ხეივანში ის ძალზე ხშირად
დასეირნობდა ჩვენს სასახელოდ...*

მირზა გელოვანის გახსენება

ირაკლი აბაშიძემ მიაბო:

— 1944 წელს მოსკოვში შევხვდი მირ-
ზა გელოვანს. იგი გერმანიიდან ნადავ-
ლით (ტროფეით) დატვირთულ ეშელო-
ნებს მოაცილებდა და ხშირად ჩამოდიო-
და დედაქალაქში. შინელი გადაიხსნა და
მანახა: შიდა ჯიბეები ფულის შეკვრებით
ჰქონდა გატენილი. დაგვპატიჟა და კარ-
გადაც გვაქეიფა.

თვითონ მირზა სწერდა დას რუსუდანს
1944 წლის 30 აპრილს.

— გუშინწინ მოგზურნდი მოსკოვიდან,
სადაც უკვე მეორედ ვიყავი... მეორედაც
მშვენიერად გავატარე დრო მოსკოვში. ჩემ
მოსკოველ ამხანაგებთან დავლიე შენი
სადღეგრძელო... მე მქონდა შესადლებლო-
ბა სამუდამოდ მოსკოვში დარჩენისა, მა-
გრამ რატომღაც არ გადავწყვიტე ეს და
კვლავ ფრონტზე ვარ.

მირზა დაიღუპა 1944 წლის ივლისში,
დასავლეთ დვინის გადალახვის დროს,
ბელორუსიაში, ვიტებსკის ოლქში.

1997 წლის 24 მაისს, საღამოს, ტელე-
ფონით ვესაუბრე მურმანს. სხვათაშორის
მითხრა: სახელიც არაფერი ყოფილაო
(უკმაყოფილო იყო რუსთაველის საზოგა-
დოების ძველ ხელმძღვანელობასთან გაჭ-
იანურებული სასამართლო პროცესებით.
ერთი მორიგი სხდომა გუშინ გადაიდო).
მე ვუპასუხე: აბა, შენ რას გვთავაზობ, სახ-
ელისათვის არ უნდა ვიზრუნოთ და, რო-
გორც გავციხარდებო, ისე ვიცხოვროთ-
მეთქი? დიახო, — მიპასუხა. მაშინ, მთლი-
ანად არა, მაგრამ სანახევროდ და მეტა-
დაც შენ მაგ პრინციპს ანხორციელებ და
გული აღარ უნდა დაგწყდეს-მეთქი.
დამეთანხმა და კარგა გემრიელადაც იც-
ნა.

გოეთე და ბაირონი

1825 წლის 25 დეკემბერს, კვირა დღეს,
გოეთემ ეკერმანს უთხრა:

— ბაირონს რომ საშუალება ჰქონოდა,
მთელი თავისი ოპოზიციური მგზნებარე-
ბა და უმკაცრესი გამოთქმები დაუზოგა-
ვად დაეხარჯა პარლამენტში, ბილნსიტყ-
ვაობისაგან განიწმინდებოდა. მაგრამ რა-
კი პარლამენტში გამოსვლა არ უხდებო-
და, იძულებული გახდა, უკეთური გრძნო-
ბები, რომლებიც თანამედროვეებისადმი
გაუჩნდა, გულში დაეგროვებინა და მის-
გან განთავისუფლების სხვა გზა აღარ
დარჩა, გარდა იმისა, რომ ლექსებად გადა-
ესახა და გამოეხატა ეს გრძნობები. ამიტ-
ომ ბაირონის „უარყოფელი“ ნაწარმოე-
ების უმრავლესობას მე დავარქმევდი
„პარლამენტში ვერნარმოთქმულ სიტყ-
ვებს“.

ჩვენს პარლამენტარ პოეტებსაც რომ
ავუკრძალოთ პარლამენტში გამოსვლები,
იქნებ მათ ლექსებს მეტი მგზნებარეობა შე-
ჰმატებოდა?!

რაც შეეხება ბაირონისადმი დამოკ-
იდებულებას, გოეთე ყოველთვის აღი-
არებდა და აქებდა მას, შექსპირის გვერ-
დითაც კი აყენებდა და არა იმის გამო, რომ
ბაირონიც ინგლისურენოვანი პოეტი იყო:
შილერის ტალანტსაც მაღალ შეფასებას
აძლევდა და რიგ შემთხვევაში უპირატე-
სობასაც ანიჭებდა, მიუხედავად იმისა,
რომ ორივე მისი თანამედროვენი გახლდ-
ნენ.

სამი მამორიალი

ტარიელ ჭანტურია ერთი სახლის მე-
მორიალურმა დაფამ დაინტერესა (ფურ-
ცელაძის ქუჩა, N12): „ამ სახლში 1937-1976
წ.წ. ცხოვრობდა ქართველი მწერალი და
საზოგადო მოღვაწე ბესარიონ (ბესო)
ჟღენტი“. ტარიელს აინტერესებს, ვინ ცხ-
ვრობდა ამ სახლში 1937 წლამდე?

მე ამ რეპლიკამ მეორე მემორიალი
გამახსენა (ელბაქიძის დაღმართი, N11):
„ამ სახლში 1931 წლიდან 1937 წლამდე ცხ-
ვრობდა გამოჩენილი ქართველი მწერა-
ლი მიხეილ ჯავახიშვილი“.

თუმცა ეს ორი მწერალი ერთი ქალა-
ქის სხვადასხვა სახლებში ცხოვრობდნენ,
მაინც სამწუხაროა და დამაფიქრებელი,
რომ ერთი მწერალი 1937 წლამდე ცხ-
ვრობდა, ხოლო მეორე მწერალი 1937
წლიდან ცხოვრობდა.

აგერ, ყოფილი ვორონცოვის და ყო-
ფილი მარქსის, ამჟამად ზაარბრიუკენის
მოედანზე ხუთსართულიანი სახლის
კედელზე ათი დაფაა, მათ შორის ერთი —
მწერლისა: „ამ სახლში 1937-1971 წლებში
ცხოვრობდა ქართული საბჭოთა პოეზიის
ერთ-ერთი ფუძემდებელი, გამოჩენილი
პოეტი და საზოგადო მოღვაწე ალიო ან-
დრიას ძე მირცხულავა“.

ამ სახლში ცხოვრობდნენ აგრეთვე
მსახიობები: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე,
თამარ ჭავჭავაძე, ემანუილ აფხაიძე,
ალექსანდრე ნუნუნავა, ცეცილია ნუ-
ნუნავა, თერაპევტი ლ. ანჯაფარიძე, არ-
ქიტექტორები — ზ. და ნ. ქურდიანები —
ცხრავე 1936 წლიდან და მხოლოდ ერთა-
დერთი პოეტი — 1937 წლიდან!

მინანერი: მოსკოვში საერთოდ აკრძა-
ლეს მემორიალური დაფები. იქნებ ასე
სჯობდეს, რომ ქალაქი დიდ სასაფლაოს
არ დაემსგავსოს!

1963 წელს სიმონ ჩიქოვანის სამტომეუ-
ლის პირველი ტომის დედანს ვამზადებ-
დი სასტამბოდ: ცნობილი უსათაურო ასე
იწყება: „არის სიყრმის და სიმწიფის შორის
შესვენების და სიმორცხვის ჟამი“... მე,
როგორც რედაქტორმა, შევთავაზე ბატონ
სიმონს გაცენორობინა: „არის სიყრმეს და
სიმწიფის შორის“... (სიყრმის და სიმწიფის
— მეგრულის გავლენით უნდა იყოს გან-
პირობებული). ბატონი სიმონი დამეთანხ-
მა, მაგრამ არ გაასწორა: პოპულარული
ლექსია და ამიტომ დავტოვოთ.

1980 წელს გივი გეგეჭკორმა და ემზარ
კვიციანიშვილი „გაითვალისწინეს“ ჩემი
შენიშვნა და „ქართული კლასიკური პო-
ეზიის ანთოლოგიაში“ გაასწორეს აღნიშ-
ნული სტრიქონი (ცხადია, ავტორთან შეუ-
თანხმებლად).

სხვათაშორის, ერთმა ქართველმა პო-
ეტმა ამ ლექსის გავლენით დაწერა ლექსი
„ნმაურისა და სიჩუმის შორის“ და უზუს-
ტობა შეცდომად აქცია. ნიგნიც გამოსცა
ამ სათაურით.

„დავენათ ლუვრი!“ — გაიძახოდნენ
ჩვენი საუკუნის ოციან წლებში დადასტე-
ები ანუ ფუტურისტები. ამათ რიგებში
ირიცხებოდნენ ტრისტან ტცარა, გიომ
პოლინერი, ბლეს სანდრარი, ჟან კოკტო.
აი, სადამდე შეიძლება მიიყვანოს პოე-
ზია ორიგინალობის უკიდურესად ახირე-
ბულმა იდეამ!

„ნიგნების აგიზგიზებული კოცონი მე-
ნატრებაო“, — ნატრობდა მარინეტი და
ჰიტლერმა შეუსრულა ეს ნატრა. სამწუხ-
აროზე სამწუხარო ფაქტია: პოეტი — ფა-
შისტის მეგობარი!

გნებავთ „ვეფხისტყაოსნის“ კონგე-
ნალური თარგმანი? ამისთვის აუცილებე-
ლია ორი პირობა: მთარგმნელმა ძალიან
კარგი ქართული უნდა იცოდეს და მთარგ-
მნელი დიდი პოეტი უნდა იყოს. ამ იდე-
ალს, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად, ჯერ-
ჯერობით, ერთი მთარგმნელი მიუახლოვ-
და: გაპონოვი. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუ-
დია — მე ხომ ებრაული არ ვიცი.

ისე, რუსთაველისნაირ უმაღლეს რეგ-
ისტრებამდე ვერავითარი მთარგმნელი
ვერასოდეს ვერ ამაღლდება, თუნდაც
აქამდე:

— იგი ვარდობდეს, შენ იე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ალსარაჟა ნომერი 1

ეს ის დღე იყო, როცა თავისით იხსნება ჭიშკრები, შარვლის ღილები, ლოგიკური ამოცანები, როცა შედეგები და პასუხები თავიდანვე არის ცნობილი, როცა იღვიძებენ...

აი, თქვენ თავზე მადებთ ხელს, ახველებთ. არ ვცდები, სწორედ იმ დღეს გაიღვიძა ყავის ნალექმა მუსიკის მასწავლებლის ფინჯანის ფსკერზე, დიდი ბაბუის საბრძოლო ხმალმა, სარდაფის ვირთხამ, ლოთის ვნებამ სასმელების გამყიდვლის მიმართ, ყვავების ბუდე მთავრმართებლის სასახლის ბაღში, ჭადრის ხეებმა ქურჩის პირას, ქურჩამ

და ყველა ერთად მაქეზებდა: „ინკრიალე! ინკრიალე!“ ავხმინიანი ყველა მუდგერი და დახშული ნოტიო, ვნკრიალებდი სასკოლო ზარად, ვერცხლის მონეტად, ღვინის თასად, ქალაქის წყაროდ, მოკლე ტექსტური შეტყობინების სიგნალად, სარკედ, ბავშვის სიცილიად, ვნკრიალებდი და საპასუხო ექოს ვინვევდი, მხოლოდ ექოს, როგორც მთებში, როგორც ხდება - გავრცობილად, გამრავლებულად.

არ მახსოვს, ასე ყველგან როგორ აღმოვჩნდი, სად მიმიღეს, სად შემიშვეს, სად გამომკეტეს, დამემსგავსნენ, დამინყვილდნენ, შემეზიარნენ, მე მხოლოდ ჩემს მსგავსს დავუძებდი და მოვუხმობდი თუ ფიქრობთ, რომ ცოდვის წილად ესეც მეყოფა, დავამატებ, გამომრჩა, ველარ მოვისმინე, გაღვიძებულებს რა ადარდებთ, ის, რომ სამყარო მათ გარეშე შეიცვალა, თუ ის, რომ თვითონ შეიცვალნენ, ვიდრე ეძინათ და ნაცნობ საგნებს ველარ აგნებებენ?..

ალსარაჟა ნომერი 2

ისინი უბრალო გამვლელი იყვნენ, პირობითად სახელდებულნი ქალებად, კაცებად, ახალგაზრდებად, ბებრებად და, წარმოიდგინე, ყველა, ვინც შემოვიდა და გაიარა ანდა არც შემოვიდა და შემოიხედა, ჩემს მსხვერპლად იქცა.

მათ მოსაზიდად კაუჭზე გული წამოვავე (როგორც დიასახლისი ყველის ნაჭერს აგებს ხაფანგში თავხედი წრუნუნების გასაბმელად)

და ჩასაფრებული ვათენ-ვალამებდი, ვკისკისებდი და ვკანკალებდი, თმას ვიშლიდი და ვინნავდი, ვიჭრიდი და ვიღებავდი

და როცა ისინი, გამვლელიც და ღამისმთევლელიც, ხორცის სუნით გაბრუებულნი, გულამდე აღწევდნენ და ეგზალტირებულნი მის გლეჯვას იწყებდნენ,

მე ტკივილებს ცალკე კოლოფში ვაგროვებდი, მომდინარ სისხლს კი ფიალებს და ჭიქებს ვუდგამდი, რომ ერთი წვეთიც არ დაღვრილიყო და მერე ამით ჩემი ლექსი მომერთო და გამომეკვება,

როგორც დედა მგელს ჩვილი ლეკვები თბილ-თბილ ნანადირევზე დასაგეშად, ანდა დევის ცოლს - პანანინა დევქალები, ახალ-ახალი სულელები რომ სჭირდებოდათ გასაზრდელად, გასახარად, დასაქალებლად...

ისინი რიგითი გამვლელი იყვნენ, ცოლის საცვლების ისინი რიგითი ერთად დილის ყავა და ხაჭაპური უყვარდათ, სიზმარში კი კაუჭზე წამოცმული გულებისკენ ეჭირათ თვალი და ფეხაკრეფით ეპარებოდნენ, როგორც ღირსეული პეტროტროფები...

არ ვიცი, მათი ბედი აღარ მიკითხავს, იმ ლექსებით კი, ეს შადრევანი მოვაპირკეთე და თუ სურვილი გაგიჩნდება, შემოიარე.

ალსარაჟა ნომერი 12

„თებერვალმა დადგომა არ იცის, მარტმა - კაბის კერვა“.

ის მეუბნება: აცალე, შეხედე. მეგონა, რომ გულჩვილობა მღუპავდა ყოველთვის, მაგრამ

იქნებ ჩემი გადარჩენა (ძალა) დალუპავაშია? იქნებ შევიცოდო?

ის მეუბნება: ეს მათი თვისებაა, თებერვლის, მარტის, ვერაფერს გავანყობთ, როცა დრო დგება, მაშინ მოდიან, ქარებსაც მაშინ ერეკებიან და კაბებსაც მაშინ კერავენ.

ვფიქრობდი: ჩიტი-ჩიორა რომ ვიყო, საძირკველში რას ჩავდებდი? ვფიქრობდი:

მე არ მეყვარება ჩემი თავი, თუკი მეყვარება ის, ასეთი. „დავინყე გაქცევა ბუდიდან, მერე საკუთარი თავიდან ტყავიდან, ფრთებიდან, ბუმბულიდან, არ დავიტოვე არაფერი, რაც კი ძველ ზამთრებს გამახსენებდა. ის იყო უცვლელი, უწყლოდ, უხეობოდ, თებერვლის და მარტის გარეშე“.

ის მეუბნება: უნდა იპოვო, რა გჭირდება. ვფიქრობდი: მას რა სჭირდება?

ის მეუბნება: შენ ის იყავი, ვინც ხარ, რაც მას სჭირდება, ეგ ვერ გადაგარჩენს.

„მე დავინყე გაყინვა, ამასობაში“.

მეუბნება: იპოვი, მიბრუნდი და იქვე იპოვი, აქამდე მხოლოდ მის გარშემო დადიოდი,



ბელა ჩეკურიშვილი

იქ, სადაც ის იყო. ახლა შენ თავს ჰკითხე.

„ვეკითხები, მაგრამ არ იცის“.

ვფიქრობდი: ალბათ მიპასუხებს, ჯერ არ იცის, რადგან დაკარგა ყველა გემო, ფერი, ფაქტურა.

„მეშინია, არ დამახინჯდეს“.

ვფიქრობდი: მეშინია, საზაფხულო სამზადისი თუ დაიწყება, თუ აპრილი მოდის, სახნისი, საკვეთი გასამზადებელია, დასაფერი, როდის მოვასწრებთ?

მეუბნება: თუ კარგად იმოგზაურებ, გადარჩები, რადგან ნახვედი, წრე უნდა შეკრა. რაც მას უნდა, არსად წერია.

„ასეთი არ ვყოფილვარ, ვიყავი გულგახეთქილი, გაფატრული, მაგრამ მომლოდინე“.

მეუბნება: ეს კიდევ ერთი გზაჯვარედინია, გახვალ. აღვუთქვი: დავიცდი.

ცოდვითათვის

(საქინე მოჰამადი აშთიანის და სხვებს)

უცოდველი არავინ იყო, მაგრამ ქვას ყველა ერთდროულად დაწვდით, ახლა შეგვეძლო, ჯავრი გვეყარა იმაზე, რაც თვითონ ვერ გავბედეთ, რაც სხვამ გააკეთა და ამით ჩვენი სურვილებიც გაამჟღავნა.

უნდა ჩაგვექოლა ეს გამჟღავნებული სურვილები, ვიდრე ჩვენზეც ეჭვს მოიტანდნენ, ვიდრე დამბეზღებლები მომრავლდებოდნენ, ანდა მიიშარები საკუთარ თავს თვითონ გაცემდნენ.

ნაზარეველი შორს იყო და უცხო, ჩვენ კი როგორმე ფიქრის კვალი უნდა წაგვეშალა, რომ დაბნეულობა არ შეგვეტყობოდა, უცხო მამრების ნდომით დაბერილი ძუძუსთავეები დაგვეცხრო, ბარძაყები შეგვეკუმშა და ფეხებშია მონოლილი ვნება ზიზღად გაგვესაღებინა.

რისხვის გათამაშება არც დაგვჭირვებია, შიშმა დაგვიგრიხა სახეები, დაგვიგრძელა ხელები და ტკივილი აღარ გვიგრძენია, ქვას და მიწას ფრჩხილები რომ მივამსხვრიეთ.

ერთი კია, სახეში შეხედვა ვერ გავბედეთ, ისე ვესროლეთ, ალბათ იმ ორმოში საკუთარი თავები წარმოვიდგინეთ და შეგვეშინდა,

ავ წინათგრძნობად არ აგვხდენოდა...

გამოცდილება

მას აკოცეს და პრინციესად იქცა, ჭაობიდან კი ერთი სიბრძნე გამოიყოლა: რაც მეტს ფართხალე, მეტად გითრევს,

ჰოდა, გაყურდი, დაელოდე, იქნებ ამოშრეს, ან იწვიოს და გამოცურო, ზეცას ქვა მოსწყდეს, ან ხეს ტოტი, ანდა ქარმა შენს ფეხებთან ბალახის ღერო გადმოხაროს.

ის ახლა უკვე პრინციესაა, აღარ ჰკოცნიან, არც ხელისგულზე ისვამენ და არც გულის ძარღვთან, სასეირნოდ და საცეკვაოდაც მის მაგივრად სულ სხვა ქალებს უწყვილდებიან.

ის ჭაობისკენ აღარ გარბის, მაგრამ ახსოვს: „რაც მეტს ფართხალე, მეტად გითრევს“, ამიტომ მშვიდად ხურავს ფანჯარას და დათვლას იწყებს, ვიდრე ქმრისკენ შებრუნდებოდეს.

ცაცხლი

„წყალი შემოდგი ცეცხლზე და ატამი დაჭერი, თუ კომპოტის გაკეთება გინდა, თუ ბორში გინდა, ბოსტნეული უნდა ჩაყარო, თუ სიყვარული გინდა, სამზარეულოს ცეცხლი არ გეყოფა“ -

ვამბობდით და ერთად ვწვებოდით, მაგრამ ცეცხლი მაინც არ გვექონდა.

ღმერთები წებით არაფერს იძლევიან, თუ არ მოატყუე, თუ არ წაართვი -

მივხვდით და გავუშვით ერთმანეთს ხელი, გადავწყვიტეთ, თვითონ გვეძებნა ცბიერი ღმერთიც და მისი საყვარელი სამსხვერპლო ხარიც, ნაგვერთმა რაც დაგვიმალა, რაც გვეკუთვნოდა და გვეჭირდებოდა

ერთმანეთის გასათბობად, გასაცნობად, აღმოსაჩენად. გადავწყვიტეთ და გავფრინდით სხვადასხვა მხარეს, როგორც ქარები, როგორც ისრები, ნისლი, ღრუბლები...

„კენჭი ჩაყლაპე, თუ ამ მხარეში დაბრუნებას კიდევ იცნებობ, თუ კბილი გტკივა, მაშინ აბი უნდა ჩაყლაპო, თუ გული გტკივა, წვეთები და ბალახის ნაყენი ვერ გიშველის“ -

ვთქვი და ვცდილობდით, ერთმანეთისთვის ბაფთებშებმული სტრიქონები გავგვეზავნა, მაგრამ ისე შორს ვიყავით გაფრენილები ღმერთის და ცეცხლის ძიებაში, დაკარგულნი მამრიყის და მალრიბის მტვერში, რომ სიტყვებს ძალა აღარ ჰქონდათ, თანხმობები ეკარგებოდათ და მტკივან არტერიებამდე ველარ აღწევდნენ...

„ფული რომ არ დაკარგო, შიდა ჯიბეში ჩაიდე, გზას რომ არ ასცდე, კომპასი გედოს ხელისგულზე“ - ვიცოდით და დაუბრკოლებლად ვმოძრაობდით სამყაროს გზებზე,

მაგრამ სიტყვას სიყვარულით თუ არ ამოსთქვამ, დაიკარგება, ადრესატამდე თავს ვერ მიიტანს - ეს არ ვიცოდით,

ვერც ვისწავლეთ, ვერც მოვისმინეთ, არც გვეცალა, ღმერთთან ბრძოლაში ყურის ნიჟარებს გველემშაპის სისხლით ვიხშობდით, სიბრალული რომ არ გავგვჩენოდა, კუთვნილი რომ მიგველო და გამოგვეძალა, გვეჩვენებინა, რა ხდება, როცა უკვდავი მოკვდავებთან თამაშის წესებს დაარღვევენ...

„მოპოვება გამარჯვებას ნიშნავს, გამარჯვებულს სახელდების უფლება აქვს, სახელს ერთი საგნის მეორესაგან გასარჩევად იყენებენ“ - ვიცით, მაგრამ აღარ გვეჭირდება, რადგან იქ, სადაც ახლა ვდგავართ, საგნებს ფორმები არ გააჩნიათ და ვერაფრით ვხვდებით, მათ შორის რომელს უნდა დავარქვათ „მე“, „შენ“, „ჩვენ“...

SAFE MODE

დაცული ვარ, როგორც სიკვდილმისჯილთა საკანი, გლეხის ბელელი, ქვრივის ხსოვნა, საკრედიტო ბარათის კოდი, საიმედოდ, სათუთად, საგარანტიოდ.

ჩვენ შევთანხმდით რეჟიმზე, რომელიც საუკეთესოა, ოპტიმალური, ნაცადი, დაცულია ჩემი ალტერ ეგო ლალატისგან, საშვილოსნო - შვილოსნობისგან, სახლი - აშენებისგან.

დაცული ვარ და სჯობს ასე დავრჩე, სჯობს სასწორზე მომავალი არ შემოვდო, ვაითუ გადამწონოს, ვაითუ დავიბნე, ვაითუ გაფანტულობა მომეწონოს,

მე კი ისეთი ძვირფასი ვარ, ერთი მისხალიც არ უნდა მომიკლდეს, არ უნდა დავნანვივდ, არ უნდა დავზიანდე. ვიდრე დაცული ვარ, უვნებელი ვარ, და არა საშიში, არა მომწამვლელი, არა გადამდები, არა მკვლელი, არა მაცდური.

ჩვენ შევთანხმდით ამ რეჟიმზე და ვიცით: როგორ ავიხვიოთ თვალები, ვიბრუნოთ პირი, განწყვიტოთ გზა, შუბლისად გაულის ძარღვები, მთავარი ისაა, სიკვდილმისჯილს განაჩენის აღსრულებამდე გავაძლებინოთ, ხორბალს — ზამთრამდე, არ შევბალოთ გარდაცვლილთა სექსუალური მოგონებები, საბანკო მომსახურების პრესტიჟი...

მაგრამ რა მოხდება, თუკი მიწაზე მყოფი სერაფიმი გვეტყვის, რომ დაცვის იდეალური სისტემა ზეცაშიც არ არსებობს?

უძილობა და სხვა...

ალბათ არ წამოხვალ და დაიზარებ, ისეც ტელეფონთან წამოწვები, აქ კი ღრუბელივით გაიზარდა დარდი და მალე განვიმდება, თუ მკითხავ, უძილობას ვიმიზეზებ (ვამბობ, დამისველდა წამწამები), თვეობით ვინახავ, საგზალივით, შენგან დადგენილ განაწესებს, სადაც წყალიც ვერ გააზავებს, სიტყვები ისეა დაწურული, სადაც მარწმუნებ, რომ სიზმარია ჩემი ქალური გამოწვევა, მანდ კი სიმართლე გაქვს შემზარავი, რომელსაც აღარ ამომწებენ, რომ დრო თითქმის უკვე ამოწურეს

ნაჯახიანმა მეგზურებმა, მე კი, ყველაფერს ვაზიანებ ღმერთის ამდენი შეწუხებით, რომ იმ დღეს შემოვლაც დაიზარეს და კართან დატოვეს წრიაპები, რომ მანდ სხვა სისტემაა სადაზვერვო, სიმშვიდეს ვერავინ აგინონის და მიწაც უიმედოდ დამზრალია - ზედ აღარაფერი იწერება, სისხლში ჰაერი გაქვს აზელილი, ნერვებად იშლები და ნანილდები, ყელზე შემოგაჭდეს საზეიმო ლენტე და დადიხარ გაბანრული, პატარა სააღდგომო ზვარაკით, მინდორში გაშვებული შესანიშნავად, არც იცი, ახლა ვინ გაზიარებს სახლს, სადაც ფანჯრები დაიღვენა და ქარი დაქრის ისე უზრდელურად, მოჩვენებებიც კი გაიძურნენ...

გურამ დოჩანაშვილი

ნაწყვეტი მომავალი რომანიდან

დასასრული

30 ექსპედიციით-მაინც მოვლილი მათქვან რაოდენ დიდხალ-საქართველო და, თუმც მისი რამდენიმე მხარე არ მინახავს, ხოლო ეს თუ რომლები? - ვერგეტყვით, ამას, ამისა მრცხვენი და მხოლოდ იმას გაგიმხვით, რომ ყველაზე მეტად მთათუშეთზე მწყდება, გული, - ალვანში კი ვარ ნამყოფი მაგრამ, ნამდვილ თუშეთზე, ანუ ზემოზე, მოგახსენებთ და რადგან ექსპედიციების დაგეგმვას მე აბა ვინ შეკითხებოდა მაგრამ, უგათხრებოდაც ოთხჯერ ვიყავი ზემო სვანეთში, ექსპედიციებით კი - ზემოაფხაზურ ამტყელსა და ვაჭევი (ზემო იმერეთი) ყველაზე დიდხანს, ხუთზაფხულობით ვარქელოვობდი, ჩემი ყოველი იქაჩასვლა ჩემთვის ზეიმი იყო, როგორი, უშუალოდ, რადგან - იქა მე მართლაც გამშობლიურებული ამა-სოფლებით ჩემი სამშობლო, საქართველო მეგულეობდა, სუყველას ცცნობდი, ხუთ-ხუთ ზაფხულით როგორ ძალიან დაახლოებულეხს და, ჩვენი სატივროდ ჯაბახანა განსაკუთრებით ჩვეულ ჭითკართან რომ გაჩერდებოდა, არიქა დათიკია ჩემვიდენ ჩვენები ჰარიქა სევერიონ ჩვენები ჩამობძანდენო და,

აქეთიქითურ ღიმილები; ჭრელი-ათასფერადი კიარა და, როგორღაც მთლადაც ერთფეროვანი მაგრამ კაშკაშა, როგორ... - სამშობლოთი, ეს.

იქ მე ამ-უღირსს, ჩემი მამული და დედულითი მხვდებოდა, იქა, სად იქ და, ყველგან, საქართველოში, რა კარგი..., - იყო.

ხოლო მერე კი, რაც მე მანამდეც ჩემთვის განსაკუთრებით უშთავრესი კომპოზიტორების სმენისას მომდიოდა - რომელსაც ვუსმენდი სწორედაც ის რომ მერჩია, ყველას, არადა თითო-თითოდ ხომ, ბევრნი იყვნენ, კი, - და ეს აკი იქაც, კი, არქელოგობისასაც არ განმიმეორდა? - მაშ! - ვაჰ აქაცაცკი, ვააჰჰ კაცო ემ მითომაცადა ერთიბუნო საქართველოსი აი სწორედ ის რაოდენერცელი ი-ერთიკუთხე მუდამ მერჩია - საცა ვიყავი, არა? - სწორედაც ის, აი ისი და, ღმერთი-რჯული ორპირობითა და საქართველოსი სხვა კუნჭულების მივიწყებებით არ მომდიოდა, ეს - დიდად მოქმედი, სიყვარულებით რაღაცა მრავალპირობიანად ზმნასავით, ვიყავ - ყველგან, ყოველთვის იმ სამშობლოსი უფრო გახლდით რომელზედაცრომ მე ამა-ჩემი რაცგინდ თამამად რიდიანი ღვიძლშვილობითა ძან ვიყავ-ყე, თამამ-ულა და, მაგრამ, თანაც, მონინებულად და როგორ მერე, ვყოფიერებდი, -

გამქონდა, თავი. მამულისაგან, არ-ნაბოლარაობლის, კვერით, ჩემსამშობლოსი რაობით; ყველგან.

თუმცკი ყოველთვის, რომ არც ვიცოდი და გინდაც ვითომდა არ მხსომებოდა? - მაინც, სუმუდამ, მთელი ეს ჩემი საქართველო იმ ერთკუნჭულითაც, იმა ფრთეთი რასუსტ ბეჭებზე მთელი სიმძიმით მანვა, და მანვა, აღსაზრებულად მჩორკნიდა და არც მეზიდა განძი აეს, უძვირფასესი?

ხოლო სამშობლო, თქვენი და ჩემი... ისეთია, რომ... -

როდესაც ერთი რა ღირსეული-რარიგ, ქართველი, ბუნებისა და ფრინველ-ცხოველთა რა-სათნოდ ფაქიზი მკვლევარი არნოდ გეგეტკორი როგორმორეულ სამხრეთ ამერიკაში, მოხვდა? - არ მომბეზრდება განმეორებით გადმოცემა, ამის:

როდესაც, იგი, ვინ იგი და ესაა კაცი ვისაც რავიცი რალა აღარ მოუხილავს ჩვენსა განედებსმიღმაც ამა-ვრცელ ქვეყნად, მათ შორის რარიგ ბევრდაბევრ დიდუდაბნოთა ნიალები დიდად გულდასმით, შეუსწავლია, და, ყოველივესი და დაკვირვებით დამხსომებელი ვახლავთ, ძალიან, და ერთხელაც, როგორც მოგახსენეთ მისთვის შორეულ პერუ-დ, ჩასულა კაცი-ის, სუყველგან მაინც როგორ ძალიან სამშობლოიანი, თან -

ხოლო იმა-შორეთი ერთ ეგრეთნოდე-

ბულ „საბჭოურსა დელეგაცია“-თი აღმორჩნდა და, თავისი იმ მრავალმხრივი და მოუღლეი შეცნობისნადილით ამგზავრებული, სხვები რომ ნაშუადღევს, დაქანცულები რამდენიმე გრძელი საათით დასასვენებლად მოცალეობდენ, იმა სლავებში და კენტად ქართველმა, ამან, თურმე, დაადო ფეხი და, ბუნების მეტრფე, ერთსაც ქალაქთან ახლომდებარე უდაბნოს ძალიან რომეი შეჰყოლია, ხოლო უდაბნო, თქვენი იმას დიდადღარიბი ქვიშრობი-და ეძახევით და, ნაშუადღევის ხვატში თუ მცხუნვარებით აი ისე დულს რომ ყოველივე სულიერი - ფრინველოთხფენი და ქვეწარმავლები და, ნერგინცა აკი სულიერად ითქმინან, რადგან, „სიტყვის კონა“-თი „აქუსთ განმრავლებისა და განაყოფიერების უნარი“, და ყოველივე იმა ლულიანს-პაპანებაში გატრუნვისაგან მთლად მინავლულა, სამაგიეროდ კი, შეურყოლებამდეც აციები-სას ღამობით თურმე რა ვრცელი და უამრავმხრივი სიცოცხლე ძან ფეთქს აი იქა, უდაბნოში, და რადგან ჩვენს-ს კი დიდად ეცნობისნადილებოდა დღითაც შეცნობა, უდაბნოსი,

და, გინდაც უჩუმრად ანთებული და თანაც როგორ, ძალიანძან შეჰყოლია მისთვის შორეულ გულსინადებისც, ხილვას, და, რა გასაკვირი ისაა რომ - დაუფვიანია კრასნი-ნამეტურშიაპეიან (- ნითელ-მნიშვნელოვნურქუდებიან) დელეგაციის თავებმოყრისა დათქმულ ადგილზე და დიდადძანაც ერთდროულად შემფოთებულებიც დაჰხვედრიან კაგებუნისკითცმხარშიმდგარი დელეგაციის ხელმძღვანელი იმა-ჩვენისა (- ისემც) ერთიც ძმურ-ძამიურ ფედერაციული (ნეტა რასაჰნიშნამს...) რესპუბლიკებ-ის წარგზავნილთშუა ჩაკეხებული წარმომადგენელი ანუ რა ალესილად როგო ჰასრთვალყურიანნნი:

„როგორ გაბედე დაგვიანება ჩვენ გვეგონა რომ დარჩი აქა“-ო, -

მაგრამ, ეგება, „იქა“-ო უნდა ეთქვა, საბჭოეთელსა, მაგრამ რომელსაღარ გვაქათითონაკლი, და თანაც მაშინ თურმელა რაგანსაკუთრებით ძან ძნელძნელი გახლდათ იმსიშორეზე, დედამინის მთლადაც ძალიან სულსუსხვარსა ნახევარსფეროშია ასე გინდდრებითად გადასვლია, და ხოლო მისი (ქართველისა) ნაყვანა-ხო ისედაცაც კარქა-პრობლემურ იყოყე, მაგრამ, უკე იმხანად იმდენად კარგი მეციხეიერი გახლდათ იგი, რომ, როასეთიცაკი კი-სჭირდებოდათ სადელეგაციოაობაშია, სხვებს, ამნონ-დამნონთ ბუნებისგარდა სხვაც რამიანთთვის ძირითადულის-გარემოებებისაცა, და

ხოლო ამას კი, ჩვენს, იმ რა ერთობით მბუნებოვანს, შეკერთომისა და ვრცელთა ახსნა-განმარტებობანათა ნაცვლად? - დიდად გულწრფელად გალიმება, და, მხოლოდღა ეს, უთქვამს:

„მე სად დავრჩები, რომელ მხარეში რადგან ისეთი სამშობლო, მაქვს“-ო,

და, დავინტერესდი ხოცი, აქ, მეც, როგორ ძალიან გადმოდმელი ცოტა არ იყოს კიარადა - ბევეერი იყოლს-ით -

ჩვექართველები აკი ხომ ასე ძანაც ცნობისნადილიანნი, ვართა: -

რა იყო და როგორი იყო (არის) მაინც, ნეტავი-ნეტავ-ნეტავი, ჰა! - ორიოდ სიტყვით, რანაირია ეს მისი (ჩვენი) ერთი-ც, სამშობლო...

და, კიდევთხელ ჩავუჯექ კიდევ ამ შესაკითხველს მე, გამოსარკვევად; ჩემი მარტვი, დაკვირვებებით;

და, მგონია რომ, ეგება სწორიცი კი იყო, იკაცი (- ანუ ჩვენი არნოდდი, გეგეტკორი)... .., -

მისი (ჩვენი) სამშობლო ძირითადად მთაგორიანი ქვეყანაა ზედაც დათოვლილმწვერვალებით და, არცთუ დიდი ფართისაო თუ რასეძახიან... ჰო, თავისი მომცრო სივრცისა-და-მიუხედავად, კაცო, მაინც, თურმე... თურმე ძალიან... ძალიანი... რა... - ჰო!, - მრავალსახა, მრავალსახოვნედ თან რა ძლიერ, ძალიანად და, ძალიან-ი, თურმე, განსხ-

ვავებულად სხვაფერდება ჩვენი სამშობლო და მაგრამ, მაინც, ყოველ კუთხეში კაიყოფილა, ჩვენი სამშობლო, თურმე კი არა - თვალნინა გვაქვს, და უფრო მეტად - გვეყავს! - სულიერსავით სამშობლოსავით მეტი სხვა რა გვაქვს, წმიდასამებით და ღვთისმშობლით, ნაწყალობევი და, თუ ამოდ არ გვაბადია ეს თვალევი - საცქერელად, კი, ყოფილა-არის ნამდვილად, ამო, და, ვილაებს აღარ ჰსურვებიათ მხოლოდ საკბილო-დ კი-არა და, გადასანსლავად, მაგრამ, -

რაცგინდა ვრცელურ გადამსანსველთაგან სულთმობრძავიც და მერე კი, მაინც, სულმთქმულ-და-მობრუნებული და სხვებისათვის რალაც უცნობი, ჩვენთვის კი რარიგ მშობლიური ღვთისმშობლის ძალით როგორღაც ნელშიგამართული, კვლავაც, აღმდგარა, მაინც, ქვეყანა, ესი, აეს ქვეყანა -

მაინც რაზღვიან და რა სალკლდიანიც, ბორცვებით როგორ-გადატალღული და რა ტყეებიან-ველმინდვრებიანი იქ გორაკები თრიმლით იწვის ძლიერ ნელისნვით შემოდგომობით და წყაროები და ნაკადულები ძალიანაც, კი, ამოჟღენთილან, ქვეყანა არის მდინარეებ-და-ღელეიანნი, ჩამოგვიდიან, ხოლო აღმადიან გოროზი მთები მათზე კი რარიგ-ჩანჩქერები ქვე-დ ისწრაფვიან ერთიმეორის უნახავნი, დაბლობისაკენ, ზღვად, ერთდებანა, იქა, შეფევი აქეთა აიმ ჩანჩქერებს და ნანწავებად ჭავლნი-ისეთნი, და სხვაც რა ბევრად უამრავი რამ, ერთი-მეორე, რამე, და, ზ(რ)ღდილობისათვის, მიკროუდაბნოც კი ნაქონებართ... არამედ, გვაქვსცა, რომლის მშვენებად, უდაბნოში - რა მადლიანად შუქებმოსილი დავით-გარეჯას ლავრა, დავითის, და, სადღარომელ გადაჯახნობაზე უცხო მხარეში დამირჩებოდა ამ-ჩვენსას ღზრდილი - ნადირ-ფრინველი, მაინც რა შვლები, ვაჟსმიერნი, ბალახობენ, ბალახოვანში, იქა - ხოჰხოხო ბიჭოო, „იქა“-მეთქი, ვიკატუნებ თავს, მითომაც სხვების ბუნებებს-ღუნურ, და, შამბნარსა თუ სარეველებში რარიგ სარდი გიურზები ხოხვით დაბობღვენ გან-განობით ხანდახან კია ჯერ ხევედიან და ვინმეჩვენის მოლოდინში თავს მალლა სწევენ, ყელყელაობენ რა ავად, იქა, და ახლა ფრინველნი, მეფრინველენი? - რალა არ გინდა, ერთი ცოტათი თუთიყუშები გვაკლიანა მაგრამაც ეგაც-არაფერი, თუ, მაინცდამაინც? - ზოოპარკშიე მოიხილვეი, აფრიკებში რა დაგვრჩენია, და, ეგეც არ იყოს, გვეყვანს, ჟღერადობითე იმათი მზგავსნი ბაიყუშების მეტი რა გვიფრენსა და, უჭირამსთ, თავი, და, ჰახახა-ლსტუხები ნაუჭვრნათ ისეთები რო, - გალსტიკვითა, ოლონდაც სხვისა-რამი არმოსწონი შეამჩნიო და, - ავტოდ-აცი-დ აციეე, მიდი, თან კი, ჰგონიათ? - აჩუ-ოტენა, მაშ, მაგრამ იმეებს თავი ვანებოთ, და ჩვენს აისეთ დედა-ბუნებად, დავრჩეთა და მიმოვიხედოთ, და,

მიმოვიხედეთ? და - აკი გითხარით და მოგახსენეთ სხვა სადღა-რომელ მეტსა-მხარეში დავკვირჩებოდა

ჩვენი, არნოდდი, და, მიწებიგვაქვსრომ?

მხოლოდღა გულზედასაყრელი კიარა დაა, აი, იმითგან ამოსული ხილი, ყვავილი, ხორბლული და ბოსტანული თუ გიგემნიათ, იმათი რამ ხომ, - ვიცით, მაგრამაც-ვეეჰ, რამდენი რამე კარგავითქომს და, ვინცრო არვიცით მინის ფასი, ხილსა კი ხილად მხოლოდ ზაზრისას ცცნობთაა ზოგნი, და, ამისადამიუხედავად?

რა გამოთქმა ეს, სოფლებზე - გლეხია-ო, ადებულად, მთლად... და, სხვადასხვაგვრულ გამოთქმებითაც იხუნძლებიან და ვისზე, გლეხზე! - რა აღარ გინდა, ენით ატკინო ოლონდ ნაღრძობით:

ტეტია, ქაჯი, გაუთელი, ხიხო, გაგრა, გამოუჯავავი, ხამი, გაურანდავი, ოტროველა, მუტრუკი... -

მუტრუკოვ, მართლაც! და მეტიც, უფრო - ვისით გვედგა და გვიდგანაც, სული, იმის ნაცვლად რომ ყოველ ლუკმაზე მადლიერებით იღვსებოდე იმ გლეხისადმი ვისი მადლით რომ, დააბოტებ თუ

პრონიალობ თუ დაცანცარებ ანდა, და-ბობღავ, ის, აღარ გახსოვს? თავად იგი, მინაზე მდგარი, მინის მუშაკი მარადმინყვი, ის ქუდზე კაცი ვინაც სამშობლო მოგვიტანა მაგრამ ის კი არა და, თავად სამშობლოც კი არ გახსოვს შენ, უგუნურო, სწორედაც ამით, ნაცვლად იმისა რომ, ეთაყვანებოდე, და, სხვა თუ არარა რომელი ერთი გამოვირჩევით ნეტავი იმით, რომ, - არ ვართ, სოფლელი,

ჰეეჰ, ჩვენ კი არა, გორგასალმა რომ ჩამოაგდო იმ ხოხობზედაც კი იძახიან არც ცხელ-ტფილწყლებიდან, - არამედ ტაბახმელადან, თავისი ჭკუით, დროებითაა, გადმოფრინდაო, და, რაცგინდა მკვიდრმა ქალაქელმა უნდა ვიცოდეთ სოფელი, უნდა, აჰ, აჰ, კი,

ნუ გვეგონება რომ ეს ქალაქელები მთლადაც ვერაფრისმაქნისები, ვართ,

ქალაქები გვაქვს ისეთი რომ, რასრებ-აღარგამოვლონი, ხოლო ქალაქად ქალაქელები თუ როგორები უნდათ ვიყვნეთ „სიტყვის კონა“ზე უკეთ აბა ვინ გვეტყვის, ამას:

„ქალაქი - თანამრავლობასა და თანასახლობასა ქალაქ სახელებების, ვინათგან კაცი ერთი ვერ კმა ეყოფის (- ვერ აუვა-ო, - დაახლოებით) თავსა თვისსა“ და, კარგად ვისმინოთ სულსუყველამ, აქ: „არამედ რათა შევენოდე ერთმანეთსა და სარგებელსა მივანაყოფებდე“ - რას... რას! - რომ ავდომხალდით? „სიტყვის კონა“-დან, გავიგეთ, რამე? თუ გავიგეთ და, ასეთი გვაქვს, ურთიერთობა ქალაქელებს-ჩვე? აბალ რომელი „რათა შევენოდე ერთი მეორესა“ ისაა, რომ, ეს დღევანდელი ყოფა, ჩვენი, ეს რა ჩავრდნა ამდღევანდელ ქართველთა, შორის, ეს მაინც რალად ჭირი, გვეტაკა, რამდენს, ეს უთავბოლო განკითხვები - „ნუ განიკითხავთ“ გვახსოვს-კი, ვითომ? - აჰ, რა პირიქით, და, და, აქაც კია, „პირიქით“ ივით ტევადი სიტყვა, - „ისემც“..., და ამ რიგით ვინ იცის მერამდენე მტრის და დუშმანის გასახარად - „დაჰყავი და იბატონე“ს თავად ვუსრულებთ, ვერაგს, და, ის კიდევ აი იმდენი არაფერი რომ რამდენი ციხე, ჩვენი, წინაპრებისა თავდადებისადა მიუხედავად აულიათ, ჩვენს რა ვაგლახად, შემოსეულებს, მაგრამ რომელიერთი ჭირი და ჟამი და ვარამი შეედრება აი იმას, რომ: „ხანდახან... ციხე... შიგნიდან ტყდება“... - ყველაზე მწარედ, რა სავალალოდ... და, ნაცვლად იმისა რომ, ქალაქად იმიტომ დაგსახლებულვართ „რათა შევენოდე ერთი მეორესა და სარგებელსა მივანაყოფებდე“, - როგორ დავჭამეთ, ერთმანეთი, ავისიხარულად, მტრის,

და, „ვაი ჩვენს პატრონს“ კიარა და, - რა მწუხარება აძევს, ჩვენი, ჩვენს მალალ, პატრონს, და ამა-ჩვენთა მაინც მოყვარულს, როგორ, ღვთისმშობლით თვით, და, რა ბოძებდა -

მართლაც, სრულიად საქართველოსი, ამ დღევანდელთან ძალიან ერთად მართლაც სრულიად საქართველოსი - ტაოკლარჯეთის და საინგლოსი, აფხაზეთისა და ოსეთის კათოლიკოს-პატრიარქი, გადამრჩენი რომ,

გვინყალობ, და, გავგზარებოდეს, ღვთისმშობლით მისკენ, იმ მისი რა ბუნებრივი დაჯერებითა და, მიმდევრობით: „გვესმას, მშობლისა“...



ვახტანგ რურუას ნახატი

მთარბმენი

მანანა ლარიბაშვილი:

„იდეალურად პროზაც კი ვერ ითარბმენა“



რამდენი წელია რაც პოეზიას თარბმენით?

— თუ იმასაც მივათვლით, რომ შემთხვევიდან შემთხვევამდე რაც მითარბმენია, მაშინ ძალიან ადრეიდან. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში დადიოდი, ვწერდი, ვთარგმნიდი, საჯაროდაც გამოგვეჩვენა თანატოლთა წინაშე, „სალონი“ ერქვა, მოწვეული სტუმრებიც ხშირად გვყავდა, ცნობილი პოეტები თუ ლიტერატორები. ზოგიერთი მათგანი შეგვაქებდა, ვალს მოიხიდა, ზოგიერთები სერიოზულად ჩაგვერთებოდნენ, კამათშიც შემოდიოდნენ, როგორც სწორი სწორთან. მახსოვს, ერთი ასეთი სალონი მწერალთა კავშირშიც გავმართეთ, იზა ორჯონიკიძემ სულ ბუქი მაძინა, მომდგა და მომდგა, ქვა ქვაზე არ დამიტოვა, მოგესხენებოდა, რბილი სიტყვა არ სჩვეოდა. ახლა რომ ვფიქრობ, ბევრი სიმართლე მითხრა... ლია სტურუა გამოვიდა, დამიცვა, წინ ის წამოსწია, რაც შედარებით უკეთესი იყო. ეტყობა, შევეცოდე, ისეთი აჭარბებული ვიდექი... თარგმნაც სწორედ იმ წლებში დავიწყე და მაშინვე ცვეტაევასა და მიაკოვსკის, თანაც პირველი პერიოდის ანუ საუკეთესო მიაკოვსკის, „ვეცი“. ცვეტაევას სტუდენტობის დროსაც ვთარგმნიდი, ზოგი რამ კიდევაც მომწონს, მიბრუნებას და უკეთ გამართვას გამუდმებით ვეპირები, მეჩვენება, რომ ტონი სწორად ავიღე. ყოველივე ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ გემოვნება ყალიბდებოდა, გარკვეული სიყვავიერი ოსტატობა, ჩვევა იმისა, რომ მიწავარი წინასწარი მზაობის გარეშე, სავსებით შესაძლებელია, რომელიმე დიდი პოეტი, ძველი იქნება თუ თანამედროვე, ბორძიკ-ბორძიკ, ჩიქორთული ქართულით აგვიმეტყველდეს.

თქვენი თარგმნილი ლიტერატურის ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია — კატულუსი, პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი, ძველი ბერძენი და რომაელი პოეტები და სხვა. აღარ შევუდგები მათ ჩამოთვლას...

— კატულუსზე ვისაუბროთ, ნეოტერიკოსთა შორის იგი ერთ-ერთი პოეტიცაა, რომლის შემოქმედებაც თითქმის გადარჩა. როგორც მახსოვს, შუა საუკუნეებში მისი ხელნაწერი იპოვა ერთმა იტალიელმა უპისკოპოსმა და ფარულად გადაწერა, რომ არ დაკარგულიყო. ალბათ ამანაც შეუწყო ხელი კატულუსის შემოქმედების გადარჩენას, რასაც რენესანსის ეპოქაში მისი აღიარება მოჰყვა.

— კატულუსზე გაუთავებლად შემიძლია ვისაუბრო. „ჩვენი მწერლობისა“ და „ქართული მწერლობის“ ფორცხეზე არაერთი ჩემი თარგმანი დაიბეჭდა. ამ პუბლიკაციების შესავალში ყოველთვის მეძლეოდა საშუალება, მელაპარაკა თავად კატულუსზე. წიგნის წინასიტყვაობაშიც შევეცადე, ვრცელად წარმოგიჩინა მისი შემოქმედებითი ნახანაგები. ამიტომ ძნელია, არ განვმეორდე. თავიდან მოვყვე, რომ კატულუსის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება (მხოლოდ მწიერი ინფორმაციაა მოღწეული ჩვენამდე) და მისი მკვლევარები დაუსრულებლად ცდილობენ მისივე ლექსებიდან ამოზიდონ ზოგიერთი ცხოვრებისეული დეტალი; რომ კატულუსის ერთადერთი ხელნაწერი მისსავე მშობლიურ ქალაქ ვერონაში ერთ მონასტერში აღმოჩნდა...

— ყველა მკვლევარი ერთხმად აღნიშნავს, რომ კატულუსი თანამედროვე მკითხველისათვის საოცრად ახლობელი ხდება. ეს მისი პოეზიის საიდუმლოა და საიდუმლო კი იმით არის კარგი და მომხიბვლელი, რომ ამოუხსნელია, ამიტომ, მის

ამოხსნას არც მე შევეცადე, მხოლოდ მისი პოეზიის რამდენიმე შტრიხი მინდა გამოვკვეთო: კატულუსის პოეზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ინტონაციით ათბობს. არა მხოლოდ გიყვება, არამედ შენც გრთავს ამ მოწვევით, გეახლოვდება, სურს, ამბის თანამონაწილე გაგხადოს. მეორე თვისება, რომელიც ამ პოეტს სხვებისგან გამოარჩევს, თვითირონიაა, ირონიული ღიმილი, რომელიც ძირითადად მისი სასიყვარულო ლექსებისთვის არის გადანული, სრულიად მომჯადოებლად მოქმედებს (ცხადია, დედანს ვგულისხმობ), არადა ვისკენ არის ეს ირონია მიმართული ბოლომდე ვერც ხვდები, სატროსკენ? საკუთარი თავისკენ? ადრესატისკენ, რომელსაც ლექსს უძღვნი? მკითხველისკენ?

— არის კატულუსის მეტად ცნობილი ლექსი, რომელიც იმ დროის ყველაზე დიდ მოაზროვნეს, ფილოსოფოსს, მწერალს — მარკუს ტულიუს ციციროსს ეძღვნება. მეცნიერები დღემდე თავს იმტვრევენ და ვერ გაურკვევიათ, ეს ლექსი ციციროსის და ციციროსს ნარმოადგენს თუ ქებას. მოვიყვან ამ ლექსს უფრო ცხადი რომ გახდეს სათქმელი:

„ენამშობით ყველა კაცზე აღმატებულო, გამორჩეული რომულუსის მემკვიდრეთ შორის, ვინც იყო, არის, ან იქნება, მარკუს ტულიუს! შენ კატულუსი დიდ მადლობას თაყვანიტ გიძღვნი, პოეტთა შორის დღეს ყველაზე კინი და მცირე, პოეტთა შორის იმდენადვე კინი და მცირე, როგორც შენ ხარ ვაქილთაგან უდიადესი!“

მანამდე თუ არსებობდა ქართულად კატულუსის თარგმანი?

— კატულუსის თარგმანები ამდენად სრული სახით ქართულ ენაზე არ არსებობდა. მისი ორი ლექსის თარგმანი ჩვენს უბადლო მთარგმნელს — თამაზ ჩხეიკელს ეუფლებოდა. გიორგი ხომერიკის თარგმანი რამდენიმე ლექსი. მას მკითხველი საზოგადოება კარგად იცნობს, როგორც სოფოკლეს ტრაგედიების მთარგმნელსა და ასევე როგორც პოეტს.

წელს კატულუსის თარგმანში მოგენიჭათ საბას პრემია, ჩემი აზრით, ეს იყო კიდევ ერთხელ ყურადღების გამახვილება მსოფლიო კლასიკურ მემკვიდრეობაზე და თქვენი თარგმანის ხარისხზე.

— რა თქმა უნდა, კლასიკური მემკვიდრეობის დაფასება, იმისა, რაც საფუძველთა საფუძველია მთელი ევროპული კულტურისა და ლიტერატურის, მართებული საქმეა. გაიუს ვალერიუს კატულუსი! - ეს სახელი თამამად ჟღერს. მე რომ რომელიმე მეორეხარისხოვანი პოეტი მეთარგმნა, თუნდაც რომაელი, რაგინდ კარგად არ უნდა ყოფილიყო თარგმნილი, პრემიას ალბათ ვერ მივიღებდი. ცხადია, ყოფილი სწორად მოიქცა (კადნიერებად ნუ ჩამომართმევთ ამ შეფასებას), როცა ეს სახელგანთქმული ავტორი და ამასთან ერთად კლასიკური მემკვიდრეობა ჯეროვნად დააფასა.

ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგიაში, რომელიც გამოცემლობა „ლოგოსმა“ დაბეჭდა, შესულა თქვენ მიერ თარგმნილი ეპიგრამული პოეზია — ასკლეპიადესი, ლეონიდასი და მელეაგროსი. რატომ გადაწყვიტეთ ამ სამი პოეტის თარგმნა?

— ცოტა შორიდან ვიტყვი: ანტიკური ძეგლების თარგმანზე მუშაობა სტუდენტობის დროს დავიწყე, პირველი შეხვედრა ანტიკურ პოეზიასთან ასეთი იყო: უნივერსიტეტში ბევრი საინტერესო საღამო იმართებოდა, დამამახსოვრდა პანტელეიმონ ბერაძისადმი მიძღვნილი ერთი საღამო. მე მაშინ პირველ კურსზე ვიყავი. გამოდიოდნენ ახალგაზრდა მთარგმნელები და თავიანთ ნაღვანს კითხულობდნენ. განსაკუთრებით მეხსიერებაში ჩამრჩა ხანა ტონია, რომელმაც მაშინ სრულიად ახალგაზრდამ საპფოს მშვენიერი თარგმანები წაიკითხა, ახლა იგი ცნობილი მთარგმნელია, მკითხველ საზოგადოებას კარგად მოეხსენება ბერძენ ავტორთა მისთვის თარგმანები. ერთი სიტყვით, იმ საღამოს საბოლოოდ „მოვიწამლე“ ანტიკური პოეზიით. ჩემი პირველი ავტორი — სახელგანთქმული რომაელი პოეტი პუბლიუს

ოვიდიუს ნაზონი იყო, რომლის სასიყვარულო ელეგიები სულ ცოტა ოთხ ვარიანტად მქონდა ნათარგმნი, საბოლოო ვარიანტი წიგნად 1987 წელს გამოვეცი. უნდა ისიც ვთქვა, რომ ანტიკური ძეგლების თარგმნას მიზნად ისახავდა კლასიკურ ფილოლოგიასთან არსებული „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა“, სადაც ბევრი კარგი რამ, ბევრი საინტერესო თარგმანი გაკეთდა. ცოტა მოგვიანებით ბატონმა რისმაგ გორდეზიანმა გამომცემლობა „ლოგოსი“ დააარსა, რომელიც შესანიშნავად უძღვება დიდ საქმეს — გამოსცემს კლასიკურ ფილოლოგიაში არსებულ ნაშრომებსა და ანტიკურ ძეგლთა თარგმანებს. მახსოვს „ბერძნულ-ლათინურ ბიბლიოთეკაში“ ჩვენი შეკრებები, სემინარები ბატონი ბაჩანა ბრეგვაძის თაოსნობით. ყველას თავ-თავისი ავტორი ჰყავდა და პატარ-პატარა ნაწყვეტებს ვკითხულობდით ჩვენი თარგმანებიდან. მე, პირადად, იმ შეკრებებმა ბევრი რამ მასწავლა. მაშინ სათარგმნელად ავიღე ეს სამი ავტორი და პირველად ჩვენს სემინარზე წავიკითხე. რატომ მაინც დამინც ესენი? მართალი გითხრათ, გული ყოველთვის ღირსიკისაკენ მიმიწევდა და მეღვინეობის, ასკლეპიადესი და ლეონიდასი მათი ხაზგასმით ღირიკული ინტონაციის გამო მომეწონა.

რით განსხვავდება ერთმანეთისგან ზუსტი და თავისუფალი თარგმანი და რას ნიშნავს სიზუსტე პოეტურ თარგმანში და როგორ ფიქრობთ, მთავარი სიზუსტეა თუ ყოველი პოეტური თარგმანი ერთგვარი ინტერპრეტაციაა?

— თავისუფალი თარგმანი უფრო რითმიან ლექსშია გამართლებული. ხდება ხოლმე, როცა დედნისაგან მიღებულ საერთო შთაბეჭდილებას თავისუფალი თარგმანი უკეთ გადმოცემს. იყო დრო, ევროპულ ენებზე ანტიკურ ლირიკოსებს, მათ შორის კატულუსს, რითმით თარგმნიდნენ და მეტ თავისუფლებაც იჩენდნენ, მით უმეტეს, რომ საკუთარ კრებულებში დამოუკიდებელ ლექსებად შექმნიდათ. დღეს ანტიკურობასთან მიმართებაში ეს ტრადიცია უკუგდებულა, მაგრამ ურთიერ ლექსშიც, ენობრივი სიმორის შედგენა „წერილ-წერილი თავისუფლებების“ გამოჩენა განუწყვეტილ თუ არა, ხშირად გინდება. მოვიყვან ერთ უმარტივეს მაგალითს. კატულუსის 26-ე ლექსში, რომელიც სულ ხუთი სტრიქონისაგან შედგება, ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ დააგირავა პოეტმა თავისი „ვილუსი“ (პატარა ქალაქგარე კარ-მიდამო) მეჭირვების გამო. ლექსში სხვადასხვა ქარია დასახელებული: ბორეასი, ავსტერი, ფავონიუსი და ნათქვამია, რომ ამ ქარებზე უფრო მის აგარაკს გირაო „უბერავს“. „უბერავს“ თავისთავად ცუდი ნამდვილად არ არის, მაგრამ მე რომ სიტყვა-სიტყვით მივყოლოდი დედანს, ქართულად ხელოვნური გამოვიდოდა, ამიტომ დედნისეულის ნაცვლად გავაძაბე გამოთქმა: „ქარმა ნაილო“, „ქარს მიაქვს“ და, ვფიქრობ, ამ დაშორებით დედანს უფრო დავუახლოვედი, რადგან პოეტის ნარმოადგენაში მისი საყვარელი კარ-მიდამო სწორედ „ქარს მიაქვს“. მინდა ეს თარგმანი გავიხსენო:

„გახსოვს, ფურიუს, ის პატარა ჩემი მამული? განა ქარს მიაქვს — ფავონიუსს ან შმაგ ბორეასს, არც ევროსს მიაქვს და არც კიდევ სამხრეთის ავსტერს, გირაოს მიაქვს, იკარგება თხოთმეტ ათასად... მერე თუ იცი, რა მძინვარე ქარიშხალია!

თარგმანის სიზუსტესთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა: ერთი ენის მუსიკალობა, ცხადია, სრულიად განსხვავდება მეორისგან, მე ვფიქრობ, ლექსის თარგმნის შემთხვევაში ყველაზე მეტად ამას უნდა გავნიშო ანგარიში.

კატულუსთან გვხვდება ერთი უზომოდ ღირიკული, მელოდიური ლექსი, რომელშიც პოეტი სიყვარულით საყვედურობს თავის მეგობარ კორნიფიციუსს, რომ მან იგი დაივიწყა და მის დიდებას და მჭმუნვარებას აღარ იზიარებს. ლექსში სიტყვები და სინონიმური ერთეულები პერიოდულად მეორდება და ეს იწვევს განსაკუთრებულ ხმოვანებას. მე რომ ლათინურში აქცენტით გამოვრეზული სიტყვები პირდაპირ გამემეორებინა, ქართული ლექსი, ვფიქრობ, მუსიკალურობას დაკარგავდა, შევეცადე, ქართული ლექ-

სისთვის დამახასიათებელი რიტმიკის ფარგლებს არ გავცდენოდი, მიმეჩვიებინა ჩვენი ლექსისთვის ბუნებრივი მუსიკალურობა — ის სიტყვები და სინონიმები გავიმეორე, რომლებიც ამას ხელს შეუწყობდა. პატარა ლექსია, ბარემ მთლიანად მოვიყვან, გამორჩევით მიყვარს.

„კორნიფიციუსს, შენს კატულუსს გული უტირის, ვფიცავ შენს ლექსს, ცუდად არის, და, რაც დრო გადის, სიმძიმით უათკეცდება. რატომ არ მიხვალ, ალერსიან სიტყვას არ ეტყვი, არ ანუგეშებ, იქნებ ცოტა გულს მოუფროსო! მწყინს, საყვარელო, მეგობრობა ნუთუ ეს არის? მითხარი რამე, სულერთია, თუნდაც მჭმუნვარე, ისე მწუხარე, ვით ცრემლები სიმონიდესი“.

საერთოდ არსებობს კი იდეალური პოეტური თარგმანი?

— არათუ არ წამიკითხავს, არც მსმენია. იდეალურად პროზაც კი ვერ ითარგმნება. ახლა ამას დაუმატეთ ლექსის სპეციფიკური საშუალებები. აზრის გადართვა დადამოსაცემია რიტმიკასთან დადაჯაჭვული ინტონაციური რხევები თუ მთელი ზიგზაგები, პროზაში რომ ძნელად შეგხვდება. დაეუშვათ, ყველაფერი ეს უზუსტესად გადმოიტანე, რაც ფაქტობრივად შეუძლებელია, მაგრამ იმას მაინც სად წავუვალთ, რომ ხმა, რომელიც ავტორისად ჩაგვესმის, მთარგმნელის ხმაც არის. უბადლო იმიტაციური ხმაც კი ნამდვილს ბოლომდე ვერ იმეორებს. მახსენდება, ერთხელ აკაკი ურუშაძეს ვუთხარი, რომ ლექსის თარგმნი საერთოდ შეუძლებელია. მან გაიცინა და მიპასუხა: „თარგმანი, პოეტური იქნება თუ პროზაული, არის ის, რაც არის (ეტყობა, ამ ფრაზით იდეალურობა გამოიყვება). ადამიანის ნაღვანისაგან მეტისმეტი არ უნდა მოითხოვო. თუ ასე განვსჯით, მაშინ ამ ქვეყანაზე არც იდეალური დედანი არსებობს“.

არის ისეთი ავტორი, რომლის ნაწარმოებთა თარგმნის დიდი სურვილი გაქვთ და ჯერ არ გადაგიწყვეტიათ თარგმნით თუ არა?

— არის ერთი ასეთი ნაწარმოები. ვერგილიუსის „გეორგიკები“. იგი ამ დიდი პოეტის საუკეთესო ქმნილებაა, უფრო ძლიერი, ვიდრე მისი სახელგანთქმული „ენეიდა“, მაგრამ ისეთივე ცნობილი არ არის, რადგან უსიუფლო პოემაა, არავითარი ამბავი არ ხდება. ასეთი პოეტური ძალის ნაწარმოები იშვიათად წამიკითხავს, მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი გვირგვინია, შედევრთა შედევრი. არადა, რას მოგვიტოხრობს? გლეხკაცის შრომას, როგორ უნდა დაამუშაოს ყანა და ზვარი, მოუაროს ცხვარსა და ხარ-ძროხას, მოინიშოს მოსავალი. სხვათა შორის, არც მეფუტკრეობა ავიწყდება. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ საბაბია, გვავიაროს მოხასხასე თუ გადაყვითლებულ სივრცეთა სილამაზეს, მცენარეების, ცხოველების, ადამიანური შრომის მინიერ სილამაზეს, სხვა თვლით დავგანახოს წელიწადების ბრუნვა, ცა და ვარსკვლავები. უმთავრესი კი ლექსის სილამაზეა. მოვიყვან მის ერთ სტრიქონს (ქართულად ჯერ-ჯერობით აუწყობელს), რომლითაც პოეტი მშობლიურ იტალიას მიმართავს: „სალამი შენდა, ნეტლებს მინავ, მოსავლების დიდო დედაო!“ არც ომებისა და დაპყრობების, არც იმპერიული დიდების, არამედ „მოსავლების — სთვლობისა და რთვლობის — დიდო დედაო!“ აქამდე ვერ შევბედე და ვშიშობ, ვერასოდეს შევბედავ. გარდა იმისა, რომ არ ვიცი, მოვერევი თუ ვერა, მეტისმეტად მეეჭვება, რომ ჩვენი თანამედროვე მკითხველი, წარმატების შემთხვევაშიც კი, მას ნაუკითხავს არ დატოვებს.

საინტერესოა, ემთხვევა თუ მნიშვნელოვნად განსხვავდება — თქვენი და თქვენი მეუღლის, დათო ნერედიანის თვალსაზრისი მხატვრული თარგმანის შესახებ.

— რა მოგახსენოთ, თეორიულ საკითხებზე ლაპარაკი არასოდეს გვქონია. ისე, დიდი პრინციპული განსხვავება არ უნდა იყოს.

გამომცემელი



ჩვენი შეხვედრა რამდენჯერმე გადაიდო, ბოლოს — იმ მიზეზით, რომ გერმანიაში გაემგზავრეთ. იქ საგამომცემლო საქმესთან დაკავშირებით ბრძანდებოდით?

ზოგადად ასე იყო — ფრანკფურტის ნიგნის საერთაშორისო ფესტივალზე ჩავდი.

ისე, უცხოელ გამომცემლებთან გაქვთ კავშირი? ერთობლივ პროექტებს თუ ანხორციელებთ?

გაჩნია ერთობლივ პროექტს რას დავარქმევთ... ჩვენი უცხოური ლიტერატურის თარგმანებს გამოვცემთ, ნებართვას ვიღებთ იქაური გამომცემლებისგან. თუკი ამას უცხოელ კოლეგებთან ერთად განხორციელებულ პროექტად მივიჩნევთ, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ მათთან ამ სახის ურთიერთობები მართლაც გვაკავშირებს. რაც შეეხება ქართული ნიგნების უცხოურ ენებზე თარგმანს, ასეთი პროექტები, სამწუხაროდ, არ გვაქვს. მართალია, რაღაცებს ვცდილობთ, მაგრამ ეს ძალიან, ძალიან რთული საქმეა. ჯერ-ჯერობით — თუ არ ჩავთვლით სპეციალურად დაფინანსებულ თარგმანებს — რამდენადაც ვიცი, მხოლოდ აკა მორჩილადის „სანტა ესპერანსა“ გამოცემული გერმანულ ენაზე, უკანასკნელი წლების თარგმანებს ვგულისხმობ და არა საბჭოთა პერიოდში შესრულებულს.

„სანტა ესპერანსა“ თქვენ ხომ არ გამოვიცით?

არა, ეს „ბაკურ სულაკაურის გამოცემლობის“ პროექტია. უფრო სწორად, ვიტყვი, აკა მორჩილადის პროექტია, თუმცა ბაკურმაც არ დაიშურა ძალისხმევა ამ საქმის წარმატებისთვის. მიუხედავად ამისა, „სანტა ესპერანსას“ თარგმანა და გამოცემა იმდენად დიდი გამოწვევაა ჩვენი სინამდვილეში, რომ მას მაგალითადაც ვერ მოვიყვანთ, ვერ ვიტყვი: „აი, ასე უნდა ვაკეთოთ“...

ძალიან, ძალიან რთულიაო, — თქვით. სირთულეში ალბათ იმას გულისხმობთ, რომ ჩვენი მწერლობას საზღვარგარეთ არ იცნობენ, ქართველ ავტორებზე იქაური მკითხველის მოთხოვნა არ არის და უცხოელი გამომცემლები ამგვარი პროექტებით არ ინტერესდებიან...

თუ რატომ არ იყიდება ჩვენი მწერლობა დღესდღეობით უცხოეთში, ამის მრავალი მიზეზი არსებობს. ჯერ ერთი, ზოგადად, კლასიკოსებზე მოთხოვნა ბევრად ნაკლებია. მართალია რომ ვთქვათ, ქართულ კლასიკას იქ ცოტა თუ იცნობს. მათთვის ის ისეთივე ახალი ტექსტებია, როგორც თანამედროვე ქართველი ავტორების ნაწარმოებები. პრობლემა ისიცაა, რომ ჩვენი კლასიკოსები სქელტანიან ნიგნებს წერდნენ, დიდი მოცულობის ნიგნებს კი დღეს ნაკლებად კითხულობენ. ცხადია, არ ვგულისხმობ მსოფლიოში ცნობილ დიდ ავტორებს.

ახლა, რაც შეეხება თანამედროვე ავტორებს... ხომ შეიძლება საზღვარგარეთ მათი „გატანის“ ერთ-ერთი ხელისშემშლელი ქართულიდან უცხოურ ენებზე თარგმანის სირთულე იყოს?

რა თქმა უნდა, ეს პრობლემაც არსებობს. უცხოეთში ქართული ენის მცოდნეები ძალიან ცოტანი არიან. რამდენადაც ვიცი, საქართველოს კულტურის სამინისტრო ქართული ლიტერატურისა და ნიგნის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, თარგმანის დარგში სხვადასხვა პროექტებს ამზადებს. რა თქმა უნდა, ამგვარი მცდელობები საქმეს წაადგე-

გია დარსალია:

„ნიგნის ბაზარს განსხვავებული მომხმარებელი ჰყავს“

გამომცემლობა „არეტეს“ დამფუძნებელი და დირექტორი გია დარსალია პროფესიით პოლიტოლოგია. როგორც თვითონ ამბობს, საგამომცემლო საქმიანობაში მალაზია „პარნასის“ „გადამკიდე“ ჩაება. უკვე მრავალი წელია ნიგნის მალაზიათა ცნობილ ქსელს ხელმძღვანელობს. „პარნასი“ მეგობართან ერთად მაშინ დააარსა, როცა საქართველოში ახალი გამომცემლობები გამოჩნდა, საგამომცემლო ინფრასტრუქტურა ახლიდან „შენდებოდა“, თუმცა ნიგნის თანამედროვე მალაზიები ფაქტიურად არ არსებობდა. მოგვიანებით კი, საკუთარი გამომცემლობის დაფუძნება განიზრახა, „რალაც-რალაც“ ნიგნების გამოცემა სურდა, ამ სურვილების განხორციელება „არეტეს“ დაარსებით გახდა შესაძლებელი. ამჯერად, ბატონ გიასთან, როგორც გამომცემელთან გავისაუბრეთ...

ბა, მაგრამ კარგი ლიტერატურა თუ არ შეიქმნა, ცალკე ალბუმი პროექტები დიდ შედეგებს ვერ მოიტანს. თანამედროვე ავტორებზე თუ ვისაუბრებთ, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სწორედ ისაა, რომ მაინცა და მაინც დიდი ლიტერატურით ვერ დავიკვებხით. რისი ბრალია — ეს ცალკე საუბრის თემაა და შორს წავიყვანო...

ძალიან საინტერესო თემაა, მიზეზს ხომ ვერ დავიხსენებთ?

ალბათ, მთავარი მიზეზი ისაა, რომ თანამედროვე საქართველოში მწერლობა უწინდებურად პრესტიჟული საქმე აღარ არის. საბჭოთა ეპოქაში მწერლობა ბევრად უფრო ფასობდა, არამხოლოდ მენტალური და სულიერი თვალსაზრისით, არამედ ნმინდა ფინანსურადაც. დღეს ამგვარი მოტივაცია თითქმის არ არსებობს.

დასაწყისში თქვით, რომ უცხოელ ავტორებს თარგმნით და გამოსცემთ. ეს „არეტეს“ ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა?

თარგმნილი ნიგნების გამოცემა ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. აქ ორი მიმართულებით ვმუშაობთ: ეს არის საბავშვო ლიტერატურა, ძირითადად კლასიკური ნაწარმოებები და სერია „აუცილებელი საკითხავი“, რომელიც მოზარდებისა და უფროსებისთვისაა განკუთვნილი. ამ სერიის ფარგლებში, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ოთხი ნიგნი გამოვეცემთ — ემილი ბრონტეს „ქარიშხლიანი უღელტეხილი“, კნუტ ჰამსუნის „შიშხილი“, მიხეილ უელბეკის „ელემენტარული ნაწილაკები“ და ხულიო კორტასარის „კლასობანა“. ახლა ვმუშაობთ ჯეინ ოსტინის ცნობილ ნიგნზე, რომელიც უახლოეს მომავალში გამოვა. გარდა ამისა, მზადდება მიხეილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“. ნიგნი ახალი, გადაამუშავებული რედაქციით ხელმეორედ გამოიცემა. მალე კაფკას „სასახლე“ და აინ რენდის „პირველწყარო“ გამოიცემა. თარგმანების მიმართულებით, ეს არის ჩვენი უახლოესი გეგმები.

იმ ლიტერატურის გამოცემა, რომელსაც სერიისთვის „აუცილებელი საკითხავი“ თარგმნით, კომერციული თვალსაზრისით რამდენად მოგეგმიანია? იმიტომ გეუბნებით, რომ ჩამოთვლილი ნიგნების უმეტესობა ისეთია, თითქმის ყველა ოჯახის ბიბლიოთეკაში რომ დევს.

არცერთი ის ნიგნი, რომელიც დავასახელე („ოსტატი და მარგარიტას“ გარდა), ქართულად არასოდეს თარგმნილა. ჩვენი პირველებმა მოგვიკიდეთ ამას ხელი. თავიდან, თვითონაც გაცემული დავრჩი, ნამდვილად არ მეგონა, რომ ემილი ბრონტე ქართულად თარგმნილი არ იყო.

დაიხა, როცა ვთქვი ეს ნიგნები თითქმის ყველა ოჯახშია-თქო, მექანიკურად რუსულენოვანი თარგმანები ვიგულისხმებ...

დღეს ახალგაზრდებმა რუსული ენა იმდენად არ იცაან, რომ „ოსტატი და მარგარიტას“ თარგმანაც კი გადაწყვიტეთ. რაც შეიძლება მეტი ნიგნი უნდა გამოიცეს ქართულად, რომ ადამიანებს მსოფლიო ლიტერატურის კითხვის სამუშაოება ჰქონდეთ. ასე რომ, ინტერესი თარგმნილი ნიგნების მიმართ საკმაოდ დიდია.

ახლა, მთავარია, ხარისხიანი თარგმანები შეიქმნას...

ეს საკმაოდ რთული თემაა. საქართველოში ძალიან ბევრი ცუდი თარგმანია, თუმცა კარგი ნამუშევრებიც არსებობს. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი მთარგმნელი ყალბაბანდობს, საქმე ბოლომდე არ მიჰყავს. მაგალითად, კითხულობთ თარგმნილ ტექსტს, თითქოს კარგი ნამუშევარია, მაგრამ შეიძლება ისე მდარედ, ცუდად თარგმნილ ადგილებს გადააწყდეთ, რომ... ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია რედაქტორის სამუშაო. სამწუხაროდ, ზოგიერთი გამომცემელი ამ ინსტიტუტს საერთოდ არ მიმართავს.

თუმცა, არიან გამომცემლები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კვალიფიციური რედაქტორის მოძებნა დღეს საკმაოდ

რთულია... თქვენთან ამ სამუშაოს ვინ ასრულებს?

ბოლო ხანია, ტექსტების რედაქტირება თვითონ მიწვევს. მას მერე, რაც რედაქტირებული ტექსტის ახლიდან დამუშავება მომინა, გადავწყვიტე ეს საქმეც შემეთავსებინა.

სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას არ გამოსცემთ?

ამ ჟანრის ნიგნებზე აქამდე არ გვიმუშავია, თუმცა ახლა ითარგმნება უმბერტო ეკოს „როგორ დავწეროთ სადილო-მო ნაშრომი“. ვფიქრობ, ქართველი სტუდენტებისთვის ეს კარგი დამხმარე სახელმძღვანელო იქნება.

„არეტეს“ პრიორიტეტად, გარდა თარგმნილი ლიტერატურისა, კიდევ რას დაასახელებთ?

ჩვენი გამოცემით ოთარ ჭილაძის, შეიძლება ითქვას, ყველაფერს, მთელ შემოქმედებას. უკვე გამოსულია მისი ექვსი რომანი. თხელყდიანი ნიგნებია. ახლა ვმუშაობთ ათტომეულზე, რომელშიც ოთარ ჭილაძის ყველა ნაწარმოები შევა. გადამწყვეტილი გვაქვს მოგამზადოთ აკადემიური გამოცემა, მკითხველის ბიბლიოთეკას მრავალი წლით რომ დაამშვენებს, დროს რომ გაუძლებს.

თანამედროვე ქართველ ავტორებზე, ახალგაზრდა მწერლებზე შეგიჩერებით თქვენი არჩევანი? საინტერესოა, თუ მოდიან თქვენთან, საკუთარ ტექსტებს თუ გთავაზობენ, როგორ თანამშრომლობთ მათთან?

„არეტეს“ და ახალგაზრდა ქართველ მწერლებს შორის, რა თქმა უნდა, გარკვეული ურთიერთობები, თანამშრომლობა არსებობს. თუმცა „არეტეს“ ის გამოცემლობა არ არის, რომელიც ბევრ ქართველ ავტორს მოხიბლავს...

რატომ?

შეიძლება ითქვას, ეს არაკლასიკური ტიპის გამომცემლობაა. აქ ვმუშაობთ მხოლოდ მე და კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც საბუღალტრო საქმეს აწარმოებს... იმისთვის ვერ ვიცი, რომ მწერლების მიერ შემოთავაზებული ყველა ხელნაწერი წავიკითხო. უკანასკნელად რაც ჩვენთან დაიბეჭდა, თუკი ჭიჭინაძის „ეიფორია“. რამდენადაც ვიცი, „არეტეს“ პირველი გამოცემლობაა, რომელმაც გემოვნებიანი ბულვარული ლიტერატურის გამოცემა სცადა. „ეიფორიას“ დიდ, სერიოზულ ლიტერატურაზე პრეტენზია არ აქვს, თუმცა ავტორი საინტერესოა და რაც მთავარია, კარგი ქართულით მოგვითხრობს სახალისო ისტორიას. „ეიფორიამ“ ამიტომაც მოხიბლა და მისი გამოცემა გადაწყვიტე.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურას ადრე უფრო გამოვცემდი, თუმცა შემდეგ შევეშვი და ის ძირითადი მიმართულებები დავიტოვე, რაზედაც ზემოთ უკვე ვილაპარაკე — თარგმანები, სერია „აუცილებელი საკითხავი“ და ოთარ ჭილაძის ათტომეული.

საინტერესოა, სერიაში „აუცილებელი საკითხავი“ ქართული კლასიკური ლიტერატურის რომელიმე ნიმუში თუ შევა?

რატომაც არა. თვითონ სერიის სახელწოდება არ გამოიყენებოდა ამ შესაძლებლობას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამაზე არ გვიფიქრია. მომავალში ვნახოთ.

თქვენ მალაზიათა ქსელის „პარნასი“ თანამედროვე ლიტერატურის ბრძანდებით და არაერთი წელია მას ხელმძღვანელობთ. აქედან გამომდინარე, საკმაოდ კარგად იცნობთ ნიგნის ბაზარს. რა ჟანრის, რა სახის ლიტერატურაზე განსაკუთრებული მოთხოვნა?

ნიგნის ბაზარს განსხვავებული გემოვნების მომხმარებელი ჰყავს, აქედან გამომდინარე მოთხოვნებიც სრულიად სხვადასხვაა. ერთსა და იმავე დროს, ძალიან კარგად იყიდებოდა აკა მორჩილადის ნიგნებიცა და გოჩა მანველიძის „მგლებიც“. არანაკლები ინტერესი გამოიწვია ლალი მოროქიანის ავტობიოგრაფი-

ულმა ნიგნმა. დიდი მოთხოვნაა სერიოზულ, დიდ ლიტერატურაზე, თარგმანებზე. მოკლედ, ნიგნის ბაზარი სხვადასხვა სფეროებადაა დაშლილი. რა თქმა უნდა, ყველაზე კარგად საბავშვო ლიტერატურა იყიდება. მიზეზი ის გახლავთ, რომ ხელმომჭირნე ადამიანს თანხის დახარჯვა საბავშვო ნიგნისთვის უფრო უადვილდება, ვიდრე პირადად მისთვის საინტერესო ლიტერატურისთვის, რომელსაც ბოლოს და ბოლოს მეგობრისგან ითხოვებს.

ფაქტიურად, „არეტეს“ შექმნამდე ნიგნის ბაზარი უკვე შესწავლილი გქონდათ, მალაზია „პარნასი“ ხომ თქვენს გამომცემლობაზე ადრე დაფუძნდა...

„არეტეს“ დაახლოებით 2003 წელსაა დაფუძნებული, იმ დროისთვის „პარნასი“ უკვე გახსნილი იყო. რაღაც იდეები მქონდა, მიხდოდა სხვადასხვა ნიგნი გამოეცა, „არეტეს“ ამიტომაც დავაარსე. როგორც უკვე გითხარით, ეს ერთი ადამიანის გამომცემლობაა, მართო ვწყვეტ, რა გამოვცე, იდეები ჩემგან მოდის, დანარჩენს — თარგმანი იქნება, მხატვრობა, დიზაინი თუ სხვა — გარე-გარე ვუყვებო. მხატვარ-დიზაინერებთან, მთარგმნელებთან თუ რედაქტორებთან მჭიდრო ურთიერთობა მაქვს. თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ისე განვითარდა, რომ აღარ არის აუცილებელი მთელი რედაქცია ერთ ოთახში იჯდეს და ასე მუშაობდეს. მთავარია, გესმოდეს იმ ადამიანებისა, რომლებსაც შეკვეთას აძლევ, მათაც ესმოდეთ შენი, ერთმანეთის მოთხოვნებს ითვალისწინებდეთ და ერთმანეთისგან იმას იღებდეთ, რასაც ელოდებით.

გამომცემლობისთვის სახელწოდებაც თქვენი შერჩეულია?

არა, სახელწოდება „არეტეს“ ყოფილმა თანამედროვე ლიტერატურის ხარბედიამ მოიფიქრა, ეს ბერძნული სიტყვაა და სრულყოფილს ნიშნავს. ვფიქრობ, კარგად შერჩეული სახელია. ჯერ ერთი, სხვადასხვა ენებზე კარგად უდერს, იოლად გამოითქმის. მეორეც, იმის გამო, რომ ა-დან იწყება, ყველა კატალოგში პირველ ადგილზეა განთავსებული...

გარდა ამისა, „არეტეს“ სრულყოფილი, მაღალი რანგის ლიტერატურის გამოცემაზეა ორიენტირებული, თქვენს პრიორიტეტებს — სერია „აუცილებელი საკითხავი“ და ოთარ ჭილაძის ათტომეულს ვგულისხმობ.

არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ გამოცემლობაში ძირითადი მიმართულებების მიღმა, ცალკეული სხვა პროექტებიც განახორციელოს. ამის გამოცდილება გვაქვს კიდევ. მაგალითად, თქვენს მკითხველს, სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას თუ გამოსცემთ. შარშან, ძალიან საინტერესო ნაშრომი, „ფსიქოლინგვისტიკა“ გამოვეცით. მართალია, ეს ნიგნი პირდაპირი მნიშვნელობით სახელმძღვანელო არ გახლავთ, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებზე მას, როგორც სახელმძღვანელოს, წარმატებით იყენებენ პროფესორ-მასწავლებლები. გამოცემული გვაქვს, ასევე, „ქართული დამწერლობა“ — მთამბეჭდავად გაფორმებული, ძალიან საინტერესო ნიგნი...

ნიგნებს საქართველოში ბეჭდავთ?

სხვადასხვა ქვეყნებში ვბეჭდავთ, მათ შორის საქართველოში. ბოლოს, მაგალითად, სომხეთში დავბეჭდეთ.

ქართული გამომცემლობები უცხოურ სტამბებს, ძირითადად, შეღავათიანი ფასისა და პოლიგრაფიის უკეთესი ხარისხის გამო მიმართავენ...

ასეა. სტამბა იგივე ქარხანაა. რომელი ქარხანაც უკეთეს პირობებსა და ხელსაყრელ ფასს შემოგთავაზებს, მასთან ვთანამშრომლობთ.

ესაუბრა თამარ ჟურული

ოქტომბერი

შეუფასებელი დოლარი

მოსამართლე დერვენტი შეერთებულ შტატებში, რიო გრანდეს სასახლეში მხარეში მსახურობდა. ერთ დილას ფოსტით მან ასეთი შინაარსის წერილი მიიღო:

„მოსამართლე:

გახსოვს ის დღე, ოთხი წლით ციხეში რომ გამოსტუმრე? რა სიტყვებით არ შემამკე მაშინ! ბოლოს ჩხრიალა გველიც კი მიწოდე. იქნებ ვარ კიდევც, — ვინ იცის, — მაშ, თუ ასეა, ისმინე ჩემი ჩხრიალი!

ერთი წელიც არ იყო გასული ჩემი და-პატიმრებიდან, რომ გოგონა დაეკარგე, — ასე მითხრეს, სილატაკემ და სირცხვილმა მოუსწრაფა სიცოცხლე.

შენც ქალიშვილის მამა ხარ! ჰოდა, მალე გაგაგებინებ, რას ნიშნავს შვილის სიკვდილი.

ის ოლქის პროკურორიც კარგად უნდა დავეგესლო, ჩემს წინააღმდეგ რომ გამოვიდა.

ახლა უკვე თავისუფალი ვარ და ასე მგონია, მართლაც გველგვსლად ვიქეცი. ჩხრიალით თავს აღარ შეგანწყენ, ჩემი გრვინვა კი თავს დაგატყდება. მიფრთხილდი.

შენი პატივისცემელი,
ჩხრიალა გველი“.

დერვენტიმ წერილი გულგრილად გადადო გვერდზე. წარბიც არ შერხეოდა. ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი გზავნილი მიუღია გაბოროტებული ადამიანებისგან, ოდესღაც რომ გაესამართლებინა. ამას ჩვეული იყო. უცნობი ოლქის ახალგაზრდა პროკურორს, ლიტლფილდსაც უთვლიდა მუქარას. მოგვიანებით მოსამართლემ ნაწერი მასაც წააკითხა — კოლეგების მიმართ ყოველთვის გულისხმიერი იყო დერვენტი.

ლიტლფილდიც არ ჩააგდებდა აინუნში წერილს, მასაც ღიმილს მოჰგვრიდა დანაქადები, რომ არა ერთი გარემოება — ავტორი მოსამართლის ქალიშვილსაც ახსენებდა. ოლქის პროკურორი ოდნავ მოილუშა. ის და ნენსი დერვენტი ხომ შემოდგომაზე დაქორწინებას აპირებდნენ.

ლიტლფილდი სასამართლოს მდივანთან მივიდა. მათ ერთად გადაათვალიერეს ძველი ჩანაწერები. ბოლოს დაასკვნეს, რომ წერილი შეიძლება გამოეგზავნა მექსიკელ სემს. ის ერთი იქაური თავზეხელაღებული მეტისი იყო, რომელიც ოთხი წლის წინათ კაცისკვლისთვის გაასამართლეს. მალე ოლქის პროკურორი კვლავ ჩაეფლო თავის საქმეებში. მათ ლიტლფილდის საფიქრალი გადაფარეს და შურისმაძიებელი გველის ჩხრიალიც დავიწყებას მიეცა.

სასამართლო სხდომები ბრაუნსვილში იმართებოდა. უმეტესად კონტრაბანდის, ყალბისმქმნელობის, ფოსტის ძარცვისა და მხარეში ფედერალური კანონდარღვევის შემთხვევები იხილებოდა. ერთი საქმე ახალგაზრდა მექსიკელის, რაფაელ ორტიზისა იყო. მარშლის თანაშემწე, ყოჩაღი კილპატრიკი მას თავს წასდგომოდა დანაშაულის ფაქტზე, სწორედ იმ დროს, როცა ის ავთიაქში წამალს ყალბი მონეტით, ვითომდა ვერცხლის დოლარით ყიდულობდა. ორტიზის პატიოსნებაში ადრეც ბევრჯერ დაეჭვებულან სამართალდამცველნი, მაგრამ ბრალი ასე ადვილად პირველად უმტკიცებოდა. რაფაელი საპატიმროში ყურყუტებდა, გამუდმებით თამბაქოს ეწეოდა და განაჩენს უცდიდა.

კილპატრიკი სასამართლოში მივიდა და ოლქის პროკურორის კაბინეტის კარი შეაღო. ლიტლფილდი სხდომაზე გამოსასვლელად ემზადებოდა. მეორე დილით განსახილველ საქმეთა სიის თავში სწორედ ორტიზის საქმე მოქცეულიყო. კილპატრიკმა ოლქის პროკურორს ყალბი მონეტა გადასცა. მარშლის თანაშემწე და პატივცემული ავთიაქარი მზად იყვნენ დაეფიცათ, რომ წამლის ფლაკონში ორტიზმა სწორედ ეს დოლარი გადაიხადა. მონეტა მართლაც რაღაც უხარისხო, ყალბი ნაკეთობის ნიმუში ჩანდა — რბილი, დაბინდული, მთლიანად ტყვიისგან ჩამოსხმული.

„ექსპერტისთვის დიდი თანხის გადახდა აღარ მოგვიწევს, არა, კილ? მონეტის

სიყალბე ისედაც აშკარაა“. — გაელიმა ლიტლფილდს, როცა მაგიდაზე ნასროლმა დოლარმა წკრიალის ნაცვლად ისეთი ყრუსმა გამოსცა, გვეგონებოდათ, ლითონის ნაცვლად საგონავის ნატეხი ისროლესო.

„ექვი არაა, გრიზერი ველარსად ნაგვივა“, — მიუგო მარშლის თანაშემწემ და იარაღის ბუდე შეხსნა. — „სიკვდილით უნდა დაისაჯოს. პირველი შემთხვევა ხომ არაა, რომ ეპატიოს! ასე რომ იყოს, აქაური მექსიკელები ყალბ ფულს ნამდვილისაგან ვერ უნდა არჩევენ. ჩემი აზრით, ყვეთელკანიანი გაიძვერა ყალბისმქმნელთა ჯგუფის წევრია. როგორც იქნა, უშუალოდ თავისი შავბნელი საქმიანობისას ნავადექი თავს. წარმოიდგინეთ, ეს არამზადა არაფერს იკლებს, — იქ დაბლა, მდინარის პირას, ერთ-ერთ მექსიკურ ჯაქოლში შეყვარებულიც კი ჰყოლია. გოგონა ისეთი მშვენიერებაა, ისეთი, როგორც ყვავილნარში ჩანოლილი ნითელი ბოჩოლა. ერთი ორჯერ თვალი მოვკარი, როცა ამ თაღლითს ვუთვალთვალე“.

ლიტლფილდმა ყალბი დოლარი ჯიბეში ჩაიღო და თავისი გამოსასვლელი სიტყვა კონვერტში შეაცურა. სწორედ ამ დროს კარი ბიჭუნას წრფელი და მხიარული, მომხიბლავი და ბადრი სახით ვილაცამ შემოაღო. ოთახში ნენსი დერვენტი შემოვიდა.

„ოჰ, ბოზ, როგორ გგონია, სასამართლო თორმეტ საათზე არ შეწყვეტს სხდომას, ხვალ დილაზე არ შეისვენებს?“ — ჰკითხა მან ლიტლფილდს.

„როგორ არა“, — მიუგო ოლქის პროკურორმა, — „მაგის იმედად ვარ. უამრავი გადაწყვეტილება მაქვს მისაღები და...“

„აი, თურმე რა გიხარია! მოცუბთ შენ და მამაჩემი, ერთი წუთით ხომ არ მოსწყდები თქვენს საქმეებს და გადანყვეტილებს, მუდამ კოდექსებსა და კანონებში ხართ თავჩარგულიმე კი მინდოდა ნაშუადღევს გვენადირა. ლონგ პრერია ახლა სავსე იქნება მეჭვავიებით. უარს ნუ მეტყვი, გეთავაზო! ჩემი თორმეტკალიბრისანი ჰამილტონის უნდა გამოვცადო. ვიცოდი, ნამოხვიდოდი და საჯინიბოში უკვე შევეუთვალე, ბაქბორდში შესაბამელად ფლაი და ბესი მოგვაქირავონ. ისინი სხვებზე უკეთ იტანენ ცეცხლს, არ ფრთხებიან“.

ახალგაზრდები შემოდგომაზე უნდა დაქორწინებულიყვნენ. სიყვარულს მთელი ძალით მოეჯადოებინა ისინი. მეჭვავიებმა გადასწონეს ოლქის პროკურორის დღის, უფრო სწორედ, ნაშუადღევს საქმეები. ლიტლფილდი საბუთების გვერდზე გადადებდას შეუდგა.

კარზე კაკუნის გაისმა. კილპატრიკი გაეპასუხა და მოიპატიჟა სტუმარი. ოთახში ლამაზი, შავთვალა გოგონა შემოვიდა. სახეზე ღია ლიმონისფერი დაჰკრავდა. თავსა და ყელზე შავი თავშალი შემოეხვია.

ქალიშვილი ესპანურად ალაპარაკდა. მისი ნაუბარი ერთ ნაღვლიან, მკვნესარ მუსიკის ჰანგად გაისმა. ლიტლფილდმა ვერაფერი გაიგო — ოლქის პროკურორის გოგონას ენა არ ესმოდა. კილმა კარგად იცოდა ესპანური და კოლეგას მიეშველა. სტუმრის სიტყვებს ის ნაწყვეტ-ნაწყვეტ თარგმნიდა, შუალედებში კი ხელს მალა სწევდა იმის ნიშნად, რომ ამ დროს სიტყვების ნაკადს იჭერდა.

„გოგონა თქვენს სანახავად მოსულა, მისტერ ლიტლფილდ. ის ჯოია ტრევიზანია. იმაზე უნდა გესაუბროთ, რომ — უფრო სწორად, მას რაფაელ ორტიზის ამბის გაგება სურს, — ერთი სიტყვით, მისი სატრფოა. ამბობს, რომ ორტიზი უდანაშაულოა, რომ მან თავად დაუმზადა და გადასცა ყალბი მონეტა რაფაელს. ნუ დაუჯერებთ მას, მისტერ ლიტლფილდ. ეს ხომ მექსიკელი გოგონების ჩვეული ხრიკია. ისინი ტყუილს, ქურდობას, კაცისკვლასაც კი არ მოერიდებიან გულისსწორის გადასარჩენად. ნურასოდეს ირწმუნებთ შეყვარებული ქალის სიტყვებს“.

„მისტერ კილპატრიკ!“ — ნამოიძახა ნენსი დერვენტი, აღმოთებულმა იმით, რომ მარშლის თანაშემწე წუთით შეყოვნდა და გოგონას მონათხრობის ნაცვლად საკუთარი გრძნობებისა და აზრების გადმოცემა სცადა. კილპატრიკი მაშინვე თარგმნას დაუბრუნდა.



„ამბობს, რომ მზადაა, შეყვარებულის ნაცვლად ჩაჯდეს ციხეში, თუკი თქვენ გაათავისუფლებთ მას. ყველა, როგორც გახდა ავად ციხეში და როგორ დაუნიშნა ექიმმა წამალი, სასიცოცხლოდ აუცილებელი წამალი. აი, რატომ გადაიხადა ორტიზმა ტყვიის დოლარი ავთიაქსი. ამით მან სატრფო სიკვდილს გადაარჩინა. რაფაელი მის საფიცრად ქცეულა და გოგონა დიდი ალერსით ახსენებს მას. იმდენი აბდაუბდა მის ნაამბობში, იმდენი, მოსმენას ნამდვილად არ ისურვებდით“.

ოლქის პროკურორისთვის ეს ძველი სიმღერა იყო.

„გადაეცი, რომ ვერაფრით დავეხმარები“. — უთხრა მან კილპატრიკს. — „საქმე ხვალ დილას განიხილება და განსასჯელმა თავად უნდა იმართლოს თავი სასამართლოს წინაშე“.

ნენსი დერვენტი უფრო გულმონყალები გახლდათ. ის კეთილგანწყობილი ინტერესით შესცქეროდა ხან ჯოია ტრევიზანს, ხან ლიტლფილდს. მარშლის თანაშემწემ გოგონას ოლქის პროკურორის სიტყვები უთარგმნა. მან ხმადაბლა რაღაც ჩაილაპარაკა, თავშალი სახეზე მჭიდროდ შემოიხვია და ოთახი დატოვა.

„რაო, რა თქვა ბოლოს?“ — იკითხა ოლქის პროკურორმა.

„ისეთი არაფერი“, — მიუგო მარშლის თანაშემწემ — „ასე თქვა: „თუ ოდესმე თქვენს — ო, არა, სჯობს, ზუსტად გაგიმეოროთ, თუ გავიხსენებ: 'Si la vida de ella a quien tu amas — თუ ოდესმე თქვენს შეყვარებულ გოგონას სიცოცხლეს საფრთხე დაემუქება, გაიხსენეთ რაფაელ ორტიზი““.

კილპატრიკი დერვენტიმ გავიდა და თავისი უფროსის კაბინეტისკენ გაქუსლა. „ვერაფრით დაეხმარები, ბობ?“ — შეეკითხა ნენსი ლიტლფილდს, — „რა ბედენაა ერთი ყალბი დოლარი! ასე უბრალოდ უნდა დაიმსხვრეს შეყვარებული წყვილის ბედნიერება?! გოგონა სიკვდილის პირას იყო და მის გადასარჩენად გააკეთეს ეს. ნუთუ ასეთი უიმობეღია კანონი, შებრალება არ იცის მან?“

„მართლმსაჯულება ასეთ რამეებს არ ითვალისწინებს, ნენ“, — მიუგო ლიტლფილდმა, — „მით უმეტეს, არ შეჰფერის გულჩვილობა ოლქის პროკურორს, ის ხომ სახელმწიფო ბრალმდებელია. იმას კი გპირდები, სისასტიკეს არ გამოვიჩენ; მაგრამ განა ის კაცი, ვინც საქმე აღძრა, ისეთივე პატიოსანი არაა, როგორც თავად განსასჯელი? მონეტები ფიცით დაამტკიცებენ, რომ მან გადაიხადა ცალი დოლარით, სწორედ იმით, ახლა ჯიბეში რომ მიდევს, როგორც მთავარი სამხილი. ნაფიც მსაჯულებში ერთი მექსიკელიც არ ურევია. ამიტომ, სავარაუდოა, თათბირიც არ დასჭირდებათ, სასამართლო დარბაზშივე დაუჭერენ ისინი მხარს მისტერ გრიზერის ბრალდებას“.

ნაშუადღევს ნადირობა მეჭვავიებზე ისეთ დიდ სიამოვნებას უქადდა ახალგაზრდებს, რომ სპორტით გატაცებულებს მალე გადაავინცდათ რაფაელის საქმე და ჯოია ტრევიზანის მწუხარება.

ოლქის პროკურორი და ნენსი დერვენტი ქალაქიდან გავიდნენ. სამი მილი კრიალა, მწვანე ბალახით აბიზინებული გზით იარეს, შემდეგ კი გაშლილი მდელოს ბის გავლით პიედრა ქრიკის ნაკადულისკენ გასწიეს. მას გვერდზე დაბურული ტყე მიუყვებოდა, ნაკადულს იქით კი ლონგ პრერია იწყებოდა, მეჭვავიეთა საყვარელი და შეჩვეული ადგილი. როგორც კი მიუახ-

ლოდნენ პიედრა ქრიკს, მარჯვნიდან ცხენის ფლოკების თქარათქური შემოესმათ. მიიხედეს და დაინახეს მუქთმიანი შავტუხა მხედარი, რომელიც ტყისკენ მიემუხრებოდა. ცხენოსანი თითქოს კვალდაკვალ მისდევდა.

„სადღაც მინახავს ეს ციხე, მაგრამ ზუსტად სად, ველარ ვისხენებ“, — თქვა ლიტლფილდმა. მას გამორჩეული მხედველობითი მეხსიერება ჰქონდა. — „მგონი, აქაური რანჩოს მეპატრონე უნდა იყოს, მოკლე გზით თუ ბრუნდება შინ“.

ლონგ პრერიაზე წყვილმა ერთი საათი დაჰყო. მეჭვავიებს პირდაპირ ფურგუნიდან უმიზნებდნენ და ხოცავდნენ. დასავლეთის ველებზე გაზრდილი, ლალი და სიცოცხლით სავსე ნენსი დერვენტი კმაყოფილი და ნასიამოვნები დარჩა თავისი თორმეტკალიბრისანი იარაღით. მენყვილეს ტოლი არ დაუდო სროლაში, ცოტათი აჯობა კიდევც.

შინისკენ გზას ნელა გაუდგნენ, ცხენები ჩორით მიუშვეს. პიედრა ქრიკამდე ასიოდე იარდილა ჰქონდათ დარჩენილი, როცა დაინახეს, როგორ გამოვიდა ტყიდან მხედარი და ცხენი ჯიქურ მათკენ გამოაჭენა.

„ის არის, ნელან თვალი რომ მოვკარი. მგონი, აქეთ მოგელავს“ — შენიშნა მის დერვენტი.

ცხენოსანი უახლოვდებოდათ. ოლქის პროკურორმა უცერად მოზიდა სადავე, თან მხედარს თვალს არ აშორებდა. მას უკვე მოესწრო ვინჩესტერი ამოღება უნაგირზე შემოდებული აბგიდან და მკლავზე შეეგდო.

„ახლა კი გიცანი, მექსიკელი სემ!“ — გამოსცრა ლიტლფილდმა თავისთვის, — „ეს ხომ შენ გრვინავდი იმ თავაზიან ეპისტოლეში“.

მექსიკელ სემს დიხანს არ უყოყმანია. ცეცხლსასროლი იარაღის ხმარება კარგად ემარჯვებოდა, ტყვიან ტყვიანში აჯენდა უბადლო ჩუბინი. ასე რომ, როცა ხელსაყრელ სასროლ ადგილზე მოექცა, სადაც თავად რეკალიბრის ტყვიას ადვილად აირიდებდა, მაშინვე ოთხთვალს მგზავრებს ვინჩესტერი დაუმიზნა და ცეცხლი გაუხსნა.

პირველმა ტყვიამ კოფოს უკან გაიზუზუნა. ის ლიტლფილდისა და მის დერვენტის მხრებს შუა, ერთი ბენო შუალედში გამძვრალიყო. მეორემ ხელსაწყოების ყუთსა და ლიტლფილდის შარვლის ტოტს შორის გაიარა.

ოლქის პროკურორმა ფურგუნიდან მინისკენ უბიძგა ნენსი. ქალს ცოტა ფერი წასვლოდა, მაგრამ არაფერს კითხულობდა. მას მესაზღვრის ალღო ჰქონდა — ხიფათის პირობებს ზედმეტი განმარტებების გარეშე ლეულობდა ხოლმე. ქალ-ვაჟმა იარაღს სტაცა ხელი. ლიტლფილდმა სწრაფად ამოყარა რამდენიმე ბლუჯა საფანტი მუყაოს ყუთიდან, კოფოზე რომ იდო, და ჯიბეში ჩაიყარა.

„ცხენებს ამოეფარე, ნენ“, — უბრძანა ქალს. — „ეს ის ავაზაკია, ერთ დროს ციხეში რომ გაეშვი. ცდილობს, ანგარიში გამისწოროს. კარგად იცის, ჩვენი საფანტი ამ მანძილზე ვერაფერს დააკლებს“.

„კარგი, ბობ“, — მიუგო ნენსიმ მტკიცედ. — „მში არ მაქვს. ოლონდ შენც ახლოს მოინი. ეჭვი, ბეს, შეჩერდი!“

ქალმა ბესს ფაფარზე ხელი მოუთათუნა. ლიტლფილდს თოფი მოემარჯვებინა და ნატრობდა, ეს თავზეხელაღებული კაცი ცოტა ახლოს მოწეულიყო.

მაგრამ მექსიკელი სემი შურს ერთგვარი სამალავიდან იძიებდა. ეს ჩიტი მეჭვავიებზე ფრთამალი და საზოიანი ჩანდა. მახვილი თვალით სახიფათო არის ირგვლივ წარმოსახვითი წრე მოერკალა და მას არ სცილდებოდა. მხედარმა ხელმარჯვნივ შეუხვია და როცა მისი მსხვერპლი ადგილს ინაცვლებდნენ, რომ ცხენებს ამოფარებოდნენ, ოლქის პროკურორის ქუდისკენ ერთი ტყვია კიდევ გაგზავნა. დამიზნების დროს სიფრთხილე გადაავინცდა და დათქმულ მიჯნას გასცდა. ლიტლფილდმა ამით ისარგებლა, აღარ დაყოვნა და სროლა აუტენა. მექსიკელმა სემმა თავი სწრაფად გააქნია, ტყვიები რომ აეცდინა. რამდენიმე მათგანმა მის ცხენს გაჰკრა, ის ყალყზე შედგა და უკანვე დაინია.

ავაზაკმა კვლავ ისროლა. ნენსი დერვენტი დაიკვნესა. ლიტლფილდი თვალანთებული შემოტრიალდა და ქალს ლოყაზე სისხლი დაუნახა.

„არა მიშავს რა, ბობ, — ოდნავ გამკანრა. მაგრამ, მგონი, ტყვია რომელიც ბორბლის სოლსაც მოხვდა“.

„ო, ღმერთო!“ — ამოიხრა ლიტლ-

ფილდმა, - „ერთი ხეირიანი ტყვიები მომცა!“

თავდასხმელმა ცხენი შეაყენა, ფრთხილად დაუმიზნა და ისროლა. ფლაი კისერში დაიჭრა, აფრთხუნდა, შებმულობაში გაიხლართა და ძირს დაენარცხა. ბესი, უკვე მიმხვდარი იმას, რომ მეჭვავიებს აღარ ესროდნენ, ფურგუნიდან გასხლტა და ველურად ყიალს მოჰყვა. მექსიკელი სემის მარჯვედ ნასროლმა ტყვიამ ნენსი დერვენტის მონადირის სქელი ქურთუკიც გახვრიტა.

„დანეკი, დანეკი!“ - უყვირა ლიტლ-ფილდმა ქალს. - „ცხენთან ახლოს, -- მიწას გაერთხე, -- ასე.“ მან ნენსი ძირს მოისროლა და ლამის ბალახზე განოლილი ფლამის გავაზე მიაგდო.

გაგიკვირდებათ, მაგრამ იმ წუთში ოლქის პროკურორს გონებაში მექსიკელი გოგონას დანაბარები ამოუტივტივდა:

„თუ ოდესმე თქვენი შეყვარებული გოგონას სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება, გაიხსენეთ რაფაელ ორტიზიო“.

ლიტლფილდმა ქალს გასძახა.

„ისროლე, ნენ, ცხენს ესროლე. ჩქარა, რაც შეიძლება, ჩქარა! ვერაფერს დააკლებ, მაგრამ იქნებ წუთით შეაჩერო, სანამ რამეს ვილონებ“.

ნენსიმ სწრაფად ახედა ლიტლფილდს და დაინახა, როგორ ამოიღო და გასხნა მან ჯიბის დანა. შემდეგ უმალ მის ბრძანებას დამორჩილდა და სახე მტრისკენ მიატრიალა, რომ მისკენ ცეცხლი გაესხნა.

მექსიკელი სემი მოთმინებით ელოდა, როდის გათავდებოდა მისთვის უფლებელი ეს ბათქაბუთი. არც სადმე ეჩქარებოდა და არც ზედმეტად უნდოდა გაერისკა. იცოდა, ჩიტების საფანტი ბევრს ვერაფერს დააკლებდა. ყოველი შემთხვევისათვის სქელი სტეტსონი სახეზე ჩამოეფარებინა და იმედოვნებდა, მონინალმდეგეს ტყვიები მალე შემოილეოდა.

შემდეგ ცოტათი წინ წაინია, ფრთხილად დაუმიზნა ლიტლფილდსა და ნენსის, უფრო სწორად მას, რისი დანახვაც ნაქცეული ცხენის გავის მიღმა შეძლო და გაისროლა. მისი მსხვერპლი არ ინძრეოდა. ცხენს რამდენიმე ნაბიჯით კიდევ უბიძგა წინ. უცებ დაინახა, როგორ შედგა ცალ მუხლზე ოლქის პროკურორი და ნელა, გააზრებულად მიუშვირა თოფის ლულა. მექსიკელმა ქუდი კვლავ ჩამოიფხატა სახეზე და სროლის გათავებას დაელოდა. ფიქრობდა, პანანა ტყვიები კვლავ ვერაფერს დააკლებდნენ.

თოფის ძლიერმა ჭექამ იქაურობა გააყრუა. მექსიკელ სემს გმინვა აღმოხდა, ერთიანად დაიფლითა და ცხენიდან ნელ-ნელა ჩამოსრიალდა. ჩხრილა გველი სიცოცხლეს გამოსალმებოდა.

მომრი დღეს, დილის ათ საათზე სასამართლოს სხდომა გაგრძელდა. იხილებოდა შეერთებული შტატების საქმე რაფაელ ორტიზის წინააღმდეგ. ოლქის პროკურორი, რომელსაც ხელი შეხვეული ჰქონდა, წამოდგა და სასამართლოს მიმართა.

„თქვენის ნებართვით“, - წარმოთქვა მან, - „წინადადება შემომაქვს, ამ შემთხვევაში nolle pros გამოვიყენო. ასეთ გადაწყვეტილებას იმის გამო გთავაზობთ, რომ სასამართლოს არ გააჩნია საკმარისი მტკიცებულება განსასჯელისთვის ბრალის წასაყენებლად. პატარა ნატეხი იმ ყალბი დოკუმენტის, საქმის აღძვრის საფუძველი რომ გახდა, სამხილად აღარ გამოდგება. ამიტომაც მოვითხოვ, დაიხუროს საქმე“.

შუადღის შესვენებაზე კილპატრიკმა ოლქის პროკურორის კაბინეტში შეირბინა.

„ეს-ესაა ქვემოთ ვიყავი, იქ მექსიკელის ცხედარს აპატოსნებდნენ, - მსურდა მალულად თვალს შემეღო ძველი სემის სთვის“ - თქვა მარშლის თანამემგებმა, - „ჩემს დღეში არ მინახავს იარაღი, ასეთ ჭრილობებს აყენებდეს კაცს. ბიჭებიც ვერ მალავდნენ გაცობას. ისიც კი ივარაუდეს, რომ ტყვიებზე ლურსმნებს ხმარობდით. რას ესროდით ასეთს?“

„რას და სამხილს ვესროდი, შენი ყალბისმქმნელობის საქმის მთავარ სამხილს“ - განუმარტა ოლქის პროკურორმა. - „სწორედ რომ ბედი მქონია, - გვქონია. ყალბი მონეტა ადვილად მოვლუნე და დავეტეხე, მერე პატარ-პატარა ნაჭრებად დავაქუცმაყე და ტყვიებად ვაქციე. კილ, მექსიკელთა ქონაბნებისკენ ხომ ვერ ჩაივლიდი? მის დერვენტს სურს შეიტყოს, სად ცხოვრობს ჩვენი ნაცნობი გოგონა“.

თარგმნა მაია ტერცვაკიძე

ზეინაბ სარია

ცხრაბეჭდიან საიდუმლოებათა ახსნაში

შამშიძლია ვთქვა, რომ ჩემს თვალწინ დაიბადა, დაფრთხილდა და კაცობრიული ფიქრის ნატივ ასპექტებს ეზიარა ზვიად კვარაცხელია. საოცარი სისწრაფით გაიზარდა ეს ახალგაზრდა და ნანერებს თავისი სული ჩაუზიარა.

მზეჩამდგარი სულიერება არსებობს მის ნიგნში „ჰაე“, დინამიური სუნთქვა ისმის ავტორისა, რომელიც ფსევდობით ორგანულად უკავშირდება ქართულ კლასიკურ მწერლობას. ნიგნის მახასიათებლებია მედიტაციურობა, ლირიზმი. ფიქრიანი მზერით დააბიჯებს ახალგაზრდა შემოქმედი ცისქვეშეთში და ეძებს ცხრაბეჭდიან ტაბუდადებულ საიდუმლოებებს, რომ ცხრავე ბეჭდის ახსნა სცადოს მკითხველთან ერთად. გამჭვირვალე, ცხადი აზრი მოძრაობს მის მხატვრულ ტექსტებში.

ჩვენს სინამდვილეში უბედურებად დამკვიდრდა კლანური თუ კასტური აღიარება. მავანი კარგად ჩაითვლება იმიტომ, რომ ამლიარებელთა წრეშია. თუ ასეა, სხვაგან არ უნდა დაიბეჭდოს, სხვა წრის წევრი არ უნდა გახდეს. რომ შეაქებენ და პოპულარიზაციას გაუწევენ, ამის შემდეგ „მათი კაცი“ უნდა იყოს, მათი დავალებები ასრულოს, მათ გარშემო იტრიალოს. განა სამიში რაობა არ სუფევს ამგვარ დამოკიდებულებას? ნიჭი, მოგვსენებათ, არც ერთი წრის მონოპოლიური კუთვნილება არ არის, არ იცის კლანური საზღვრები. იგი შეიძლება სულ უჩვეულო და მოულოდნელ ადგილას ამოკამკამდეს. ასე რომ, პროპაგანდის დღევანდელი მექანიზმი ვერ არის ზნეობრივი თვალსაზრისით მოსაწონი. გამოვთქვამ სურვილს, რომ ახალგაზრდა ავტორი თავისუფალი იქნება ამგვარი ვალდებულებებისგან და ყველა, ვისაც შესაძლებლობა ექნება, უანგაროდ შეაშველდეს ხელს, როგორც ეს გააკეთეს ძმებმა — თამაზ და ოთარ ჭილაძეებმა, ბატონმა როსტომ ჩხეიძემ, ბატონმა ლევან ბრეგაძემ...

პოსტმოდერნისტული ხასიათის ეს-კიზად აღიქმება „მათ გზა ელოდათ“. აქ თანამედროვის თვალთ შირითად შტრიხებში იკვეთება ღვთისწორი მოციქულების კონტურები ისე, რომ ეს-კიზი ჩართულია მსოფლიო კულტურის მთელი გამოცდილება, რაც კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობაა. ტექსტი ამჟღავნებს ავტორის ინტელექტს, ამკვიდრებს უნივერსალური ჰუმანიზმის განცდას, რომელიც მთელ ქვეყნიერებას მოიცავს.

ამ ნიგნში სამშობლოს მტკივნეული განცდაა დავანებული. მოგვსენებათ, სამშობლო ადამიანური ყოფის დიდი არსია, წმიდათაწმიდა საკურთხეველია, ჩვენი სახეა მსოფლიოს მრავალსახეობაში და, არა მგონია, ამ ნათქვამში პათეტიკის ნამცეცხვიც ერიოს. ამ ნიგნში ნაღველის ტბაში ჩამდგარ ახალგაზრდა ავტორს ვხედავ და რაკი ნაღველი მამულის ბედზე დაფიქრებამ წარმოშვა, მომწონს, ვიზიარებ.

„გეტყვი ყველაფერს“ არის ნაწარმოები, რომელშიც საქართველოში მყოფი ამერიკელი წერს ბარათს თავის თანამემამულეს ჩვენს ქვეყანაზე. იგი იწყება და მთავრდება მრავალწერტილით, ამიტომ გვეუფლება განცდა, რომ ჩვენ ბარათის ფრაგმენტს ვკითხულობთ.

ერთი შენიშვნა უნდა გამოითქვას იდეითა და ფორმითაც საინტერესო ამ ჩინებულ ტექსტის გამო: აქ მუდამდებდა ფარული მოტივი — ოკეანისგამდებებს ჩვენი ასიმილაცია მოუწადინებიათ და ექსპანსია ამკარა რომ არ იყოს, მეგობრის ნიღბით თვალს გვიხვევენ. ფსიქოლოგიურად არასარწმუნოა: მისტერ ლუისის რატომ ესაუბრება ამერიკის აგენტი დამტვრეული ქართულით? ის ბარათს ქართველს რომ სწერდეს, ეს უხერხული მომენტი მოიხსნებოდა. სამაგიეროდ, გაჩნდებოდა სხვა უხერხული მომენტი: ქართველს ამ შინაარსის ბარათს ამერიკელი მისიონერი არაფრით მისწერდა. ამერიკელი ქართველს რომ სწერდეს, შინაარსი იქნებოდა შესაცვლელი. არადა, ავტორის იდეურ

ჩანაფიქრს ეს შინაარსი სჭირდება. ხომ შეიძლებოდა, ბარათი დაენყო სხვაგვარად? ვთქვათ, ასე: „მისტერ ლუის, მე თქვენზე ნაკლებად არ მისცავლია ქართული. თქვენი პირველივე შეგონება გავითუალისციინე: როცა მათ ენაზე ამეთქველდები, თავისიანი ჰგონიხართო და რომ დაგიმთქიცო, ამ ველურების ენა რარიც ვისცავლე, ცერილს ამათ ენაზე გიგზავნი“... ამგვარი დასაწყისის შემდეგ ფსიქოლოგიურად სარწმუნო ხდება ტექსტი (თუ ვიგულისხმებთ, რომ წერილს გადაგვარებული ქართველი წერს, ფერიდანი მას ვერ ჩაეჩრება გულში დაუკითხავად, ვერც ლაზიკა ააფორიაქებს, რადგანაც გადაგვარება საამისო გულის ძარღვის კედლამს გულისხმობს. წერილის ავტორად ამერიკელი მისიონერი მოიაზრება).

საინტერესო მხატვრული ტექსტია „გუგუტას ფერისცვალება“. იგი ათას პუბლიცისტურ წერილსა და ცრუინფორმაციას უკეთ ამხელს ჭეშმარიტ რეალობას ჩვენსას. აქ ამკარავდება, რომ პოლიცია, თურმე, სულაც არ არის ხალხზე მზრუნველი. ის დღეს კიდევ უფრო საძაღლეთია, ვიდრე ოდესმე იყო. რომელ ქრონოტიპულ (დროსივრცულ) მოვლენაზე მიგვითითებს ტექსტი? რასაკვირველია, ეს არ არის დროისა და სივრცის მიღმა ამბები, ეს ჩვენი დღევანდელი ვაჟია.

გუგუტა „კაი ბიჭია“, ძაღლებთან ბარეხუთჯერ „ნასმერტ ნაჩხუბარი“. ლირიკულ გმირს არა სჯერა, რომ გუგუტა „ძალად“ იქცევა. მისი რწმენით, იგი „ვინც მართლა დასაჭერია და ვისთვისაც მართლა ჩასარტყამია, იმას დაიჭერს და იმას ჩაარტყამს“. მართლა დასაჭერისა და მავანთა დავალებით დასაჭერის თემა აქტუალურია, ავტორი ამაზე საუბარს ისე ახერხებს, რომ დიდაქტიურ მსჯელობაში არ გადაზარდოს სათქმელი, შიშველ ტენდენციურობას მოარიდოს თავი. რეალობა დერომატიზებულია, ამკარაა, რომ ავტორი გრძნობს თანადროულობის მწვავე პრობლემებს.


ნიგნში იგრძნობა, რომ სიტყვა ესთეტიკური რაობაა, დღესასწაულია, შინაგანი არტისტიზმის გამოხატველია. აქ სიკვდილი „უფლად მიკონებაა“, ხოლო უტეხობა ებადრებათ სახეზე... თვალსაჩინოა ავტორმატიზებული ალქმა კი არა, თავისებურად დანახვა მოვლენებისა. დეავტორმატიზაცია სტანდარტული ხედვის საპირისპიროა და ნელა, ფიქრის თანხლებით გაკითხვებს ნიგნს.

ავტორს აქვს საკუთარი სენტენციები: დედა დარდის სასაფლაოა; სიყვარულს ქალები ქმნიან; ქალები დაფარული არსებები არიან; წლები მხოლოდ რყვნიან; დადარაჯებული კაცის პოზიციაზე დგომა მეტად ადვილია, ხარვეზს ხელად შეამჩნევ; არავინ არავისზე მეტი არ არის ანუ ვერაფერი ვერავისზე ნაკლები ვერ იქნება...

კოლხური თვალ-მარგალიტის ფასი იცის ავტორმა, ისე ორგანულად ჩართავს ფრაზაში, რომ განმარტების გარეშეც გასაგები იყოს ყველასათვის: „კლდე-ღრეფლატეებში არგამად ყრია ცუდ მონადირეთაგან ცუდად მოკლული ხარ-ჯიხვი“.

ტროპიც ორგანულად იქსოვება ამბავში: „ბუხარი გაფხიზლდება. ცეცხლის ელვარი ფარს, ხმალ-ხანჯარსა და გრილ რკინას გამოაკვესებს კედელზე“; ან კიდევ: „პირქვე განოლილიყვენ დიდრონი ქვები და ღრუბლისკენ იშვერდნენ გულმუცლად“; ასევე — „ანესთეზიოლოგი ნარკოზის რაშებს გამოუშვებს თავლიდან“...

რაც შეეხება ცრემლზე დაწერილ მხატვრულ ტექსტს, მოგვსენებათ, ცრემლი უნებლიე რაობაა. არავის შეუძლია იგი ძალით მოიგვაროს (თუ ხახვს არ ამოისვამ თვალებში). ცრემლი ამ ცისქვეშეთში ყველაზე ალალი, უნიღბო, ნამდვილზე ნამდვილი მოვლენაა. მას შეეფერება ყველაზე სადა, ბუნებრივი, ალაღად წამოსული სიტყვები. როცა ამ ტექსტს ვკითხულობდი, ასეთმა ფიქრმა გამკრა: მაღალ-



ფარდოვნება და ცრემლი? თუ მერმუნება ავტორი, ხომ კარგი, არა და ნება მისია, ასპარეზიც მისია და ჩვენ რალა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ რწმენით ვულოცავდეთ გზას.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას სათაურის სიმბოლიკაზე: ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ სამყაროთა ურთიერთმიმართება აზომ-დაზომა ავტორმა და უწოდა ნიგნს „ჰაე“ — თავისებური „მემენტო მორი“. სათაურის სიმბოლიკაში დევეს სიკვდილის მუდმივი თანაარსებობის აზრი.

თუ სიმბოლისტები სიკვდილის ესთეტიზების პრინციპს იზიარებდნენ, სიკვდილს ესთეტიკურ ფენომენად სახავდნენ, თვლიდნენ, რომ იგი რეალობის ბორკილებისგან ხსნაა და მას პოზიტიური შინაარსით ავსებდნენ, ზვიად კვარაცხელისათვის ის მიუღებელი რაობაა. ყველაზე დამთრგუნველი და თავგადასაცემი სიტყვა ავტორმა „ჰაედ“ აქცია. ჰაედ აქცია არყოფნის შავი ლანდი, რომელიც თითქოს მუდმივად ყველას ჭიშკართანაა. დაბადებიდანვე იწყება მისი თანხლება. მით უფრო მძაფრია ამის განხორციელება, თუ საზღვრით სიტუაციაში ყოფილხარ. სიკვდილს — სიცოცხლის უცერემონიო კავალერს — გარკვეულწილად იცნობ კიდევაც, ერთი საგზაო შემთხვევა საავადმყოფოს პალატაში თუ ამოგაყოფინებს თავს და აუცილებელი გახდება გადარჩენის სამედიცინო საშუალებები: გადაუდებელი ოპერაცია, სისხლის გადასხმა, ნემსები ვენასა და კუნთებში... მერე თითქოს ახალი სიცოცხლე გესახება არსებაში, უფლისა და ადამიანთა ნაჩუქარი, სრულიად ახალი, ათასმაგად მნიშვნელოვანი, ხელახლა ეცნობი საკუთარ სხეულს და სხვა თვალთ ხედავ სხვებსაც, ირგვლივ ყველაფერს. ყოველი დღე ნაჩუქარია, გზაჯვარედინებზე კი ამაოდ იცდის სიცოცხლის უცერემონიო კავალერი. სიცოცხლე გაძლებსა გაუთავებელი ვაი-ვი-მისა, მაგრამ ავტორმა იცის უმთავრესი: ამდენი ჭირისა და ტკივილის საპირისპიოდ სიყვარული გვებოძა — ისიც გამოჩნეულად სხვა ჭირი და ტკივილი.

ავტორი კი გვეუბნება, „ნეტავი ყოფილიყო, ცოტაზე ჩაეძინა ჩემს მფარველ ანგელოზს და მორჩებოდა ყველაფერიო“, მაგრამ სიცოცხლის ზღვარდაუდები წყურვილი ამოხეთქავს ბოლო აზვაცში: „ჩემი ძმა მარტო ამოიპარებოდა საფლავეზე, დაჯდებოდა და ერთად ვიტრებდით რა მალე ჩავლილ ბავშვობაზე, რა მალე დავიწყებდი ყმანვილობაზე, დაუვიწყარ პირველ სიყვარულზე და არ დავგეტოვებდა იმედი კიდევ ერთხელ, იმქვეყნად შეხვედრისა...“ აქ ავტორი ირაციონალური შემეცნების სპონტანურ სურათს წარმოგვისახავს და ქვეტექსტში კი სიცოცხლის ვერმეღევანე გვესაუბრება.

ეს ნიგნი საგანგებოდ საინტერესო იმითაა, რომ მკითხველი მოწმე ხდება, მის თვალწინ როგორ იბადება ერთი მწერალი.

თამაზ ჩხენკელი XX საუკუნის ათიან წლებში ასპარეზზე გამოსული ქართველი მწერლების მემკვიდრე იყო. მრავალი თვისება ანათესავებდა მას ამ თაობის მწერლებთან; თავისუფლების და სიცოცხლისმოყვარეობა, ბოჰემური სულიკვეთება და რაინდული თავდაჭერა, ძველი საქართველოს აპოლოგია და კულტურის „მსოფლიო რადიუსისადმი“ სწრაფვა. ჩემი აზრით, თამაზი პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, კოლაუ ნადირაძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, გერონტი ქიქოძის განუყრელი მეგობარი იქნებოდა. ამგვარადამიანებთან მეგობრობა იოლი არ არის, რადგან საზიარო მიდრეკილებების მიუხედავად ყოველი მათგანი განუმეორებელი ნიჭის და პიროვნული ხიბლის მქონეა. სწორედ ეს მკაფიო განუმეორებლობა სძენდა თითოეულ მათგანს სახეს, როგორც შემოქმედებაში, ისე ცხოვრებაში.

ასეთივე განუმეორებელი იყო თამაზ ჩხენკელი. მახსენდება მისი უსაზღვრო კეთილგანწყობა ადამიანების მიმართ, არტისტიზმი, მისი ასევე უაღრესად მეტყველი გარეგნობა და შთაგონებული საუბარი თუ მონოლოგი. ამ მონოლოგს არ ჰქონდა დასაწყისი და დასასრული. ის ყველას და ყველაფერს ეხებოდა,

ყოველდღიური ცხოვრების წესით ამკვიდრებდა ურყევ და უცვლელ ზნეობრივ პრინციპებს. თამაზ ჩხენკელს ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში უწევდა ცხოვრება, მაგრამ თვითონ კი არ იყო ტოტალიტარიზმის ნიშნით აღბეჭდილი. პირიქით, ის თავისი ყოფნით, არსებობით, მხატვრული ხელნერით, მადლმოსილი და ჯავარიანი ქართული ენით, თავდაჭერის თავისუფალი მანერით, საუზნის ინტონაციით, მლიქვნელობისადმი ზიზნით და რეგალიებისადმი გულგრილი დამოკიდებულებით ამსხვერვდა



ანდრო ბუაჩიძე არაჩვეულებრივი კაცი

და ამასთანავე, ყველგან და ყოველთვის შეიძლება ნარმოთქმულიყო - მიმწეხრის ჟამს რედაქციის აივანზე ან უკვე ნაშუალამევს ცარიელ ქუჩაში. ზოგჯერ რომელიმე გადაღლილი მსმენელი მოდუნდებოდა და მოსმენის უნარს კარგავდა, თვითონ მონოლოგის ნარმოთქმელი კი არასდროს ლალატობდა შთაგონებული საუბრის ჩვეულ რიტმს.

პირადად ჩემთვის ყოველთვის საინტერესო გახლდათ თამაზის საუბრები, ვინაიდან ეს იყო იმ სულისშემბუთავი ჩარჩოების დარღვევა, რომელიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება თუ წარსლისფერი ყოფილგან გვექონდა მოსჯილი. თამაზ ჩხენკელთან ურთიერთობას ძლიერი ზემოქმედება ჰქონდა; შენთან მოდიოდა თავისუფალი ადამიანი და შენც განთავისუფლებდა უხილავი ხუნდებისაგან. ის გესაუბრებოდა, როგორც თანატოლს, როგორც იმ კაცს, რომელსაც ბოლომდე ენდობა და უზიარებს გულისნადავს ან ცხოვრებისეულ აღმოჩენებს. მუდმივი ხალისი და სიცოცხლით სავსეობა ის უაღრესად კაცური თვისება იყო, რომელიც ამშვენებდა თამაზ ჩხენკელს. თუ იმასაც წარმოვიდგენთ, რომ ეს კაცი შთამბეჭდავი გარეგნობით, ლირიკული და ანალიტიკური ნიჭიერებით და მთხრობლის იშვიათი უნარით იყო დაჯილდოებული, მივხვდებით, მისი განხილვა რა საჩუქარს წარმოადგენდა გარშემომყოფთათვის.

გერონტი ქიქოძე თვითონ ამბობს, რომ პაოლო იაშვილი იყო ადამიანი, რომელიც ლამობდა ცხოვრება პოეზიად ექციაო. ასეთი იყო თამაზიც, ვინაიდან არა მხოლოდ თავის მრავალმხრივი შემოქმედებით, არამედ

იმ ბიუროკრატიულ კლიშეებს, რომელიც ღრმად იყო განფესვილი მრავალი ქართველი „ჰომო სოვიეტის“ არსებაში.

თამაზ ჩხენკელის ცხოვრების სტილი საფუძველშივე გამოირიცხავდა ბიუროკრატიზმს, კარიერიზმს, მეთავერობას და მომხვეჭელობას, პანია კეთილდღეობისათვის ეგოისტურ ზრუნვას და, რაც მთავარია, ფარულ ვერცხლისმოყვარეობას. სწეულებათა ამ სიმპტომებით, სამწუხაროდ, ჩვენი ქართული საზოგადოების მეტად სიმპატიური, მრავალმხრივ საინტერესო ადამიანებიც იყვნენ და არიან „გამორჩეულნი“.

ასე რომ, თამაზ ჩხენკელს თავისი უსაზღვრო თავისუფლებით დისონანსი შეჰქონდა საბჭოთაობის დამლთ დადაღულ სოციალურ სივრცეში, უფრო კონკრეტულად კი ქართული ინტელექტუალური ისტებლიშმენტის წრეებში. ეს დისონანსი სხვადასხვა ნიშნით გახლდათ გამოხატული. ერთ-ერთი იყო ჩემს მიერ უკვე ნახსენები ქართული ენა. კაზიონური შტამპით და ლიტერატურული ანემიურობით აღბეჭდილ ენას მან თავისი თაობის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად სისხლსავსე და ფეროვანი ქართული ენა დაუპირისპირა. თითქოს ძარღვი გაუხსნა შეგუბებულ ენერგის. ამ სფეროში ის ნამდვილი ალქიმისი იყო. არა მხოლოდ მთანმინდებლის, რუსთაველის ან სულხან-საბასაგანძურში შეეძლო ძვირფასი ქვების მოძიება, არამედ სრულიად შეუმჩნეველ ფრესკულ წარწერაშიც პოულობდა არქაულ ექსპრესიას, ამოზიდავდა და დღევანდელ კონტექსტში სძენდა სიცოცხლეს. ყოველი სიტყვათნყობა, ფრაზა თამაზ ჩხენ-

კელისთვის მშრალი, თუნდაც მხოლოდ საინტერესო აზრის გამოხატველი კი არ იყო, არამედ იდუმალი ციმციმის გამომასხივებელი გახლდათ. სიტყვათშეხამების ამ საიდუმლოებას ის ზედმინევიტ კარგად ფლობდა, რაც თვალნათლივ გამოსჭვივის თავორის „გიტანჯალის“ ეგზოტიკურ და „ბჰაგავატიტას“ რელიგიური მგზნებარებით აღბეჭდილ ქართულ ტექსტებში.

ჩემი აზრით, ჰომეროსის „ოდისეა“ და პუშკინის „მცირე ტრაგედიები“ ყველა დროის საუკეთესო ქართული თარგმანების რიცხვს განეკუთვნება. მაგონდება ჩემს მესხიერებაში სასუდამოდ აღბეჭდილი თამაზისეული მადლით მოსილი ცალკეული ლექსებიც; პუშკინის „კვლავ მოვიხილე“, პასტერნაკის „ავგისტო“ და ფედერიკო გარსია ლორკას „სხვისი ცალი“, თვითონ თამაზის არაერთი და ორი ადრეული ლექსიც მახსენებს თავს, აი, ვთქვათ, „ახეულა“; „ქედებმა მითხრეს გულის ვარამი“...

პოეზიაზე ხშირად ისეთი ადამიანები წერენ და მსჯელობენ, რომელთაც პოეტური მაგიის, ლირიკული ექსცესურობის ნიშანწყალიც კი არ გააჩნიათ. ამაზე, როგორც წესი, არა მხოლოდ მათი ნაწერი მეტყველებს, არამედ მათივე „ხედვის კუთხეც“. მათთვის პოეზია მხოლოდ პრიზმაა, რომლის მიღმაც ძვეს საკვლევი აქსესუარი.

ამგვარი მკვლევარების ანტიპოდი იყო თამაზ ჩხენკელი. მისი „ტრაგიკული ნიღბები“, რომელიც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ეძღვნება, პოეტურ ინტუიციას ზედაფუძეული. ამგვარი კვლევა სრულიადაც არ გამოირიცხავს ინტელექტს. უბრალოდ, მკვლევარი ენდობა თავის ესთეტიკურ მგრძობელობას და მისი „მიმართულებით მოძრაობს“. ეს არის ვაჟას საიდუმლოებით მოცული სამყაროს ირაციონალური და რაციონალური ძალისხმევით განხორციელებული კვლევა...

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება თამაზ ჩხენკელზე, ოღონდ დღეს არა. უკვე ნათქვამიდან ჩანს; თავისუფალი და ნიჭიერი ადამიანი ვერ თავსდება ტოტალიტარული ნომენკლატურის საზღვრებში. თავის ცხოვრების წესით ის სხვებსაც აძლევს გეზს, უთვალსაჩინოებს სწორ ღირებულებით ორიენტაციას.

თამაზის შინაგან სამყაროსთან შეხება წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა ადამიანებზე. „ინდური სავალობლებიდან“ მისივე თარგმანი უნდა მოვიშველიო; „აყვავებული მტილოვანის საჭვრეტად მიხვალ? ო, მეგობრო, თავად შენშია მტილოვანი აყვავებული!“.

თამაზ ჩხენკელს აღმაფრენას ანიჭებდა სიცოცხლე და, ამავე დროს, თვითონ მასშევე იყო მშვენიერება სიცოცხლისა.

გივი შაჰნაზარი დაუმკვიდროს...

თამაზ ჩხენკელის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი მინდა გავხსენო.
ვიცოდით, მისი დაბადების დღე რომ ახლოვდებოდა. ორმოცისა ხდებოდა.

ახლო მეგობრებისაგან ხმა გავრცელდა (თამაზზე ამ სიტყვას არავინ გაიკვირვებს!), იუბილარი მინორშია და არც არაფერს აპირებსო...
თემო ბერიძემ და მე მისი „მინორი“ აინუნშიც არ ჩავაგდეთ და მავსტროს უქეიფობის მკურნალობა გადავწყვიტეთ... შევხვდით კოლმეურნეობის მოედანზე (მადლობა უფალს, ახლა ორბელიანის სახელობის როა!), შევედით ბაზარში და როგორც მოლაპარაკებულები ვიყავით, თარვის „თავის მოდგმას“ შევუდექით.

გვიანი შემოდგომის ბაზარი ბარაქიანი კი იყო, მაგრამ სათარფე თაბახს ეგრე იოლად სად ნახავდით, მაგრამ გაგვიმართლა და თაბახიცა ვნახეთ და დოქიც. დანარჩენი უკვე ყველაფერი ადვილი იყო. ნატურმორტისთვის ხილის მონახვა გაგიჭირდებოდა თუ ჩურჩხელისა და სხვა ნუგბარ-ნუგბარისა. მოვრთეთ ეს ჩვენი „უჩვეულო“ ძღვენი და ღვინის საყიდლად რომ ვაპირებდი ბაზრიდან გასვლას, დოქისთვის ნაქურჩალიც კი არ დავიფიქნეთ, დოქს აბა დასტამალს ხომ არ დავხურავდით, დოქი კოკა ხომ არ არის!

თამაზი შავი ღვინის მოყვარული იყო და უპირატესობას პერიოდულად ხან რომელიმე მარკას ანიჭებდა და ხან რომელს. იმჟამად „თელიანი“ უფრო „ექაშნიკებოდა“... როგორც თემომ დამიზუსტა, პირველი „ცოდვაც“ მაშინ სწორედ „მანდ“ მოგვცვლია; თელიანი ახლო-მახლო რომ ვერსად ვიშოვეთ, დოქი თურმე „მუკუნი“ გაგვივსია... ასე იყო თუ ისე, ამ ჩვენი თარფით მივადექით სოლოლაკში. ერთი ეს იყო, თარფი ჩვენ არ უნდა შეგვეტანა.

უბნის ბიჭების გამოჩენას დაველოდე. ამასობაში სავიზიტო ბარათისმაგვარი რაღაცაც მოვინახე, რაღა თქმა უნდა, სუფთა და... ვითომ მომკითხველის „ტიტულებით“ დამშვენიული, ნაქურჩალში ჩავასრიალეთ. შემტანიც მალე გამოჩნდა, მთელ სოლოლაკში ცნობილი ერთი ღვინისშვილი, უკვე კაცობაში შესული თვინიერი ბავშვი, უბანში ყველას რომ იცნობდა და არავის მომსახურება არ ეთაკილებოდა. თამაზს ხომ იცნობდა და იცნობდა! ეს საქმეც მოგვარდა და სულ რაღაც ათ-თხუთმეტ წუთში ჩვენს გზავნილს ჩვენც მივევით.

ბალით შევედით, შუშაბანდში შესასვლელი რამოდენიმე კიბით. ჯერ ისევე შუადღე იყო. ფეხზე დავგვხვდა. ეტყობოდა, ოთახში ბოლთას სცემდა. როგორც კი დავგინახა, სიცილი არა, ხითხითი აუვარდა და, თითქოს პირჯვრის გადასანერად შეერთებული სამი თითი ცხვირწინ დაგვიტრიალა და ცრემლიანი „თვალეებით გვეუბნება“:

- როგორ გეგონათ თქვენს ცარიელ ფურცელს ვერ წავიკითხავდი? ძველი ქალაქელი ჯიბგირები თქვენ ასე სხვა ვინ იონინაზებდა! თქვენ რა, თარფი რომ გამოგიგზავნიათ, ქეთო და კოტეს ქორნილში მოდიოდით თუ?..

თამაზისაგან, თუნდაც სოლოლაკისაგან, ზმნის ასეთი ფორმა - იონინაზებდა - თითქოს გა-

მიკვირდა კიდევ და მეც ქალაქური აქცენტით შევაგებე:

— მეტრ, რა ხდება ისეთი, „სევედის ბაღში“ რომ შესულხარ, გამოსვლას აღარ აპირებ?..

— თქვენ ასეთებო და ისეთებო (მძიმე სიტყვა „გვაკადრა“, რა თქმა უნდა, სიყვარულით!), თქვენ რა იცით ორმოცი წლის კაცისა, ჯერ ასევე ახალგაზრდულ ქარებს აყოლილებმა...

უცებ თვალზე ცრემლი მოეძალა და, თითქოს დანაშაულზე ნააცნრესო, პირი მოგვარდა ნამით, როგორც იცოდა, ადგილზევე შემოტრიალდა და მხარზე გვაკოცა.

აღარ ჩავძიებვიართ, რას გულისხმობდა იგი ამ ფორიაქში; იმას, რომ არაერთი კლასიკოსის ნაწარმოებებში ამ ასაკის ხალხი უკვე ხანმოთენულებად იხსენიებიან, იმას, რომ მიცვალებულთა სულის ცად ამალღების მოსახსენიებელი მორმოცე დღეა თუ მის მიერ ათასგზის „მჩხრეკელობით“ (ე.ი. ჩხენკელობით!) მოძიებულ რომელიმე სკნელის ჩვენთვის უცნობ მითოსურ საზრისს... არადა, ეს დღე და ეს ფრამენტები მისი ცხოვრებისა არაერთხელ გამხსენებია და თამაზზე ფიქრს ავუყოლიებვიართ... ჩვენ ჩვენი უფროსი თაობაც გვყავდა, ვინც ტირანულ რეჟიმში, სოცრეალიზმის მძიმე მარნუხებს მოხერხებულად იშორებდა და შემოქმედებითი ასპარეზი ტაშფანდურად არ უქცევია, მაგრამ მათ კვალდაკვალ რა მადლით განათდა ანას პირველი რვეულები თუ თამაზისეული „ბოძიუი“... გამგებმა მაშინათვე გაიგო, რომ იგი მთავლიტსა თუ ცენზორს შეგნებულად გაექცა და ლიტერატურის ისეთი უნარის მიყოლა ირჩია, რომელსაც მთარგმნელობითი დიდი კულტურა ჰქვია...

სიტყვა რომ არ გამექცეს, თამაზ ჩხენკელის შემოქმედების შეფასებას, დამერწმუნებით, სხვა დრო და სხვა ადგილი ჭირდება. დღეს ჩვენი გულიტვიკივი გამოვთქვამთ მოწყვეტილი ვარსკვლავის სისწრაფით ასე მოულოდნელად ჩვენგან ნასული კაცისას. ნუ შეიცხადებთ, სულ რამოდენიმე კვირის წინ სამიქვეყნიო არაფერი სჭირდა.

უდიდეს პატივს ვცემდით, ღირსებით, ერისშვილობით, გნებათ, ჰაბიტუსით დამშვენებულ კაცს. ზემოთ კიდევ ვახსენე, მაგრამ გავმეორებდი - მეტრად და მავსტროდ მოვიხსენიებდი ხშირად, რაც, ვატყობდი, ძალიან უხაროდა. დიდი საქმეების კაცი იყო და ჭეშმარიტად იმსახურებდა ამას. დანაშაულებული ვარ, ყველა დამიდასტურებს, რომ თამაზის ადგილს ვერავინ და ვერაფერი დაიკავეს... ერთი მეორეს რომ არაფერი იმეორებს ბუნებაში, ეს ცხადი კია, მაგრამ თამაზის განუმეორებლობას სულ სხვა ელფერი ამშვენებდა, ესეც ცხადია... მოუთვინიერებელი ფრინველივით ცხოვრობდა, ვერანაირი ბაზიერი რომ ვერ „განვრთნიდა“. ეს უპირველეს ყოვლისა, მისმა ჭკვიანმა და სათნო მუელემ, ქალბატონმა ლილიმ უწყობდა. მესამე ორმოცწლეულში მხნედ დამდგარი თამაზ ჩხენკელის სული, თავისსავე სათაყვანებელ ოჯახს მყარად მიდგმული მისი „საყუდლიდან“, სადაც ზამთარ-ზაფხულ ფანჯარა ყოველთვის ღია იყო, სულ მალე ცად ამალღდება. დაუმკვიდროს უფალმა სასუფეველი.

ლიტერატურული გაზეთი
 გამომდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით
 რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტები ხათუნა აღხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული
 ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com